პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 6 მაისი, 1950 წ. № 93 (8653). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
ვ. ლორთქიფანიძე — ვიბრძვით კომუნისტების თეორიული დონის ამაღლებისათვის (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
შინაარსიანად, საინტერესოდ (მე-3 გვერდი).
პროფესორი ნ. იაშვილი — ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა და ჩვენი ამოცანები (მე-3 გვერდი).
როცა მშრომელთა სიგნალებს უგულებელყოფენ (მე-3 გვერდი).
არქიტექტორის შემოქმედებითი გამარჯვება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

## წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში

პარტიული განათლების ქსელში მიმდინარე სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვისათვის სერიოზული მუშაობა გასწიეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პარტიული ორგანიზაციების შეუნელებელი ყურადღების შედეგად რესპუბლიკაში არსებული წრეებისა და სკოლების დიდი უმრავლესობა წარმატებით მუშაობს, მეცადინეობა სასწავლო გეგმების შესაბამისად და მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს. წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა მეცადინეობის ხარისხი და, რაც მთავარია, შესამჩნევად გაიზარდა კომუნისტების, პარტიული და საბჭოთა კადრების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შესწავლისადმი.

ახლა ამოცანა ის არის, რომ გაძლიერდეს მოსამზადებელი მუშაობა სასწავლო წლის წარმატებით დამთავრების უზრუნველსაყოფად. პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა უფრო ღრმად ჩასწვდნენ თვითეული წრის და სკოლის მუშაობის შინაარსს. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მეცადინეობის ხარისხს, მის იდეურობას, პროგრამით გათვალისწინებული მასალის დადგენილ ვადებში და ღრმად შესწავლას. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პროპაგანდისტებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერება. ამასთან ყველა ნაკლი პარტიული განათლების საქმეში დროულად უნდა იქნას მხილებული და გაჩაღდეს ბრძოლა მათი უსწრაფესად აღმოფხვრისათვის.

როგორც ცნობილია, პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრება გათვალისწინებულია სოფლად მაისის დამლევს, ქალაქად კი ივნისის ბოლო რიცხვებში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წრეებისა და სკოლების მუშაობა ყველგან ერთდროულად დამთავრდეს. საჭიროა თვითეული წრის, სკოლის და მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა მუშაობა შემოწმებულ იქნას და მეცადინეობის დამთავრების ვადა ისე განისაზღვროს, რომ ადგილი არ ექნეს უაზრო ფაცი-ფუცს, აჩქარებას, მეცადინეობის ხარისხის დაცემას.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა ნაყოფიერად მუშაობს პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის ორგანიზებულად დამთავრებისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა სასწავლო წლის დამთავრების მოახლოებასთან დაკავშირებით წინასწარ შეისწავლა და რამდენჯერმე განიხილა საკითხი პარტიული განათლების ქსელში გეგმების შესრულებისა და სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადების შესახებ. ამ საკითხზე მოსმენილ იქნა საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პროპაგანდისტების მოხსენებანი. პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე კომიტეტისა და საამქროთა პარტიული ორგანიზაციების ბიუროს წევრები მიმაგრებული არიან ცალკე წრეებსა და პოლიტსკოლებზე, ესწრებიან მეცადინეობას, სწავლობენ მუშაობის მტკივნეულ საკითხებს და პრაქტიკულად ეხმარებიან პროპაგანდისტებს სწავლების უკეთ მოწყობაში. პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა სპეციალური ღონისძიება პროპაგანდისტებისადმი დახმარების გასაძლიერებლად. ამ ღონისძიებათა საფუძველზე პროპაგანდისტებისა და კონსულტანტებისათვის უკვე ეწყობა დამატებითი ლექციები, კონსულტაციები, საუბრები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ პროპაგანდისტებისადმი დახმარებას, რომლებმაც მიმდინარე სასწავლო წელს პირველად დაიწყეს მუშაობა.

კარგად მუშაობს კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის ქუთაისის აბრეშუმკომბინატის პარტიული ორგანიზაცია. კომბინატის სხვადასხვა ტიპის 14 პოლიტსკოლასა და წრეში მთელი სასწავლო წლის მანძილზე შეუფერხებლად და შინაარსიანად მიმდინარეობს მეცადინეობა. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალა მსმენელებს ძირითადად შესწავლილი აქვთ და ახლა წარმატებით ემზადებიან შემაჯამებელი მეცადინეობისათვის. პარტიულმა კომიტეტმა ამ უკანასკნელად მრავალჯერ განიხილა სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადების საკითხი. სერიოზული მიღწევები, რაც ამ კომბინატისა და ქალაქის კიდევ სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებს პარტიული განათლების საქმეში აქვთ, იმითაც აიხსნება, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და კერძოდ მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება კონკრეტულად ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს წრეების, პოლიტსკოლების და მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა მუშაობის კარგად დაყენებაში. საქალაქო პარტიულმა კაბინეტმა სასწავლო წლის დასასრულის მოახლოებასთან დაკავშირებით შესამჩნევად გააცხოველა მუშაობა. პროპაგანდისტებისა და კონსულტანტებისათვის სისტემატურად ეწყობა დამატებითი ლექციები და კონსულტაციები. სემინარულ მეცადინეობაზე ახდენენ გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებაში ამას წინათ მოწყობილ თათბირზე, რომელსაც პარტიული ორგანიზაციების მდივნები და წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადების საკითხი.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ნაყოფიერად დამთავრებისათვის კარგად მუშაობის მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ მხრივ ყველგან სასურველი მდგომარეობა გვქონდეს. თბილისის სომხური დრამის თეატრის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეში ხშირია მეცადინეობის ჩაშლა. აქ მსმენელები ვერ ითვისებენ პროგრამით გათვალისწინებულ მასალას. ამ წრის პროპაგანდისტი ა. ხაჩატურიანი არ ესწრება პროპაგანდისტთა სემინარებს, არ მუშაობს საკუთარი იდეური დონის ამაღლებისათვის. თეატრის პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ეხმარება წრეს. ასე ითქმის თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი იმ წრის მუშაობის შესახებაც, რომელსაც პროპაგანდისტი გ. ძიძიგური ხელმძღვანელობს. ამ წრის მსმენელები მეორე წელია მეცადინეობენ და პარტიის ისტორიის VII თავს ვერ გასცილებიან. ქალაქ გორის რკინიგზის სადგურის მილიციის პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლა საგრძნობლად ჩამორჩა გეგმით გათვალისწინებული მასალის შესწავლაში. აქ არის მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები, ხოლო პარტიული ორგანიზაცია მდგომარეობის გამოსასწორებლად ზომებს არ იღებს. გორის რაიონის ქიწნისის, ახალდაბის, ახალუბნის და ერგნეთის საბჭოების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლებში დაბალია სწავლების ხარისხი. ამ პოლიტსკოლების პროპაგანდისტები ამხანაგები არსენიძე, ცერცვაძე, დალაქიშვილი და ემელიანოვი მოუმზადებელი ცხადდებიან მეცადინეობაზე, მათ მიერ ჩატარებული საუბრები ნაკლებად დამაინტერესებელია. ასეთი ნაკლოვანებანი სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც არის.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება. ახლა მთავარია, რომ თვითეული პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისადმი ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით გაიმსჭვალოს. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანაა და შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს.

## ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი აზერბაიჯანულ ენაზე

**ბაქო.** (საქდესი). აზერბაიჯანის სახელმწიფო გამომცემლობამ აზერბაიჯანულ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი. წიგნი დასაბეჭდად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალმა.

## ი. ბ. სტალინის ნაშრომი „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი" გამოიცა იაკუტურ ენაზე

**იაკუტსკი.** (საქდესი). იაკუტიის სახელმწიფო გამომცემლობამ იაკუტურ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოსცა ი. ბ. სტალინის ნაშრომი „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი".



1950 წლის პირველი მაისი მოსკოვში. მავზოლეუმის ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ა. ბულგანინი, ი. ბ. სტალინი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ა. ი. მიქოიანი და ვ. მ. მოლოტოვი.

ფოტო ვ. ხავოსტიანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ჩ ვ ე ნ ს  რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

## აჭარაში ჩაის კრეფა ჩაღდება

**ბათუმი.** (საკ. კორ.). უკვე 10 დღეა აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის შერჩევით კრეფა. კრეფის ტემპი დღითიდღე იზრდება. ჩაის ფაბრიკებისაკენ განუწყვეტლივ მიედინება ახალი მოსავლის ჩაის ფოთლით დატვირთული ათობით ავტომანქანა. ჩაის ფაბრიკებს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აწვდიან ჩაის ფოთოლს ბათუმის რაიონის კალინინის და ლენინის, ქობულეთის რაიონის მიქოიანის, მოლოტოვის, ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

26 აპრილიდან მუშაობას შეუდგა აჭარის თითქმის ყველა ჩაის ფაბრიკა. მარტო ერთი კვირის განმავლობაში ოჩხამურის ჩაის ფაბრიკამ მიიღო და გადაამუშავა 40 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, ბათუმის ფაბრიკამ — 33 ტონამდე, ჩაქვის № 1 ფაბრიკამ — 20 ტონა, სალიბაურის ჩაის ფაბრიკამ — 16,5 ტონა.

3 მაისისათვის აჭარის ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს 30 ტონამდე ახალი მოსავლის ჩაის პროდუქცია.

## მექანიზატორთა ახალი კადრები

**ხაშური.** (საკ. კორ.). ამ დღეებში მოხდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურამის მექანიზაციის სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვება. სკოლა დაამთავრა 204-მა კაცმა. აქედან 72 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირია, 120 ტრაქტორისტი, 12—ცხვრის ელექტროპარსვის ბრიგადირი.

ახლად კურსდამთავრებულები უკვე გაემგზავრნენ სამუშაოდ რაიონებში.

სკოლა ამჟამად ახალ შევსებას იღებს.

## ტყესაცავი ზოლები 6.400 ჰექტარზე

წელს საქართველოში გეგმით 1.000 ჰექტარი ტყესაცავი ზოლები უნდა გაშენდეს. დაირგება ორი მილიონი ძირი ევკალიპტი და ამდენივე ფიჭვი, ვერხვი და სხვ. ამ მიზნით ქუთაისისა და ცხაკაიას ტყესაცავი სადგურების ხაზით რგვა უკვე გაჩაღებულია. რესპუბლიკური გეგმის დიდი ნაწილი შესრულებულია.

გარდა ამ მოქმედი სადგურებისა, წელს ეწყობა კოლხიდისა და ზუგდიდის სადგურები, რომლებიც მცენარეთა გაშენებას მომავალ წელს შეუდგებიან.

ტყესაცავი ზოლებისათვის ნერგების გამოსაყვანად, გარდა ცხაკაიასა და ზესტაფონის მოქმედი სახელმწიფო სანერგეებისა, სანერგე ზუგდიდშიც ეწყობა.

სულ დასავლეთ საქართველოში გეგმით 1956 წლისათვის 60-200-მდე მეტრი სიგანის 11 ტყესაცავი ზოლი მოეწყობა. მათი საერთო სიგრძე 700-მდე კილომეტრი იქნება. ზოლებად გაშენდება 6.400 ჰექტარი.

## სააავადმყოფოს მშენებლობა

**კასპი.** (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში დაიწყო საავადმყოფო-პოლიკლინიკის მშენებლობა, რომელსაც ექნება ქირურგიული, თერაპიული, გინეკოლოგიური და ინფექციური განყოფილებები.

მშენებლობა მიმდინარე წელს დამთავრდება.

## ახალი სესხი წარმატებით ვრცელდება

### ხულო

ხულოელმა კოლმეურნეებმა ახალ სესხზე ხელმოწერის უდიდესი ნაწილი ნაღდად შეიტანეს. დიდაჭარის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა წევრებმა პირველ დღესვე დაამთავრეს ხელმოწერა. სოფელ კორტოხის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა აბდულ და რეჯებ ბოლქვაძეებმა სესხზე პირველებმა მოაწერეს ხელი.

### ლანჩხუთი

სოფელ მამათში სესხზე ყველაზე ადრე მოაწერეს ხელი ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ქ. ურუშაძემ და მილიონერი ბრიგადის ბრიგადირმა თ. ჩხაიძემ.

სესხზე ხელმოწერა წარმატებით დაამთავრეს სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ხოფერიამ, მოწინავე კოლმეურნეებმა სოციალისტური შრომის გმირებმა გ. ბარამიძემ და მ. მშვიდობაძემ ნაღდად შეიტანეს ხელმოწერის თანხა.

### ამბროლაური

რაიონის ყველა კოლმეურნეობაში მშრომელები ხალისით აწერენ ხელს ახალ სესხს. სოფელ ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ტყემელაშვილმა პირველმა მოაწერა ხელი დიდ თანხაზე. სესხზე ხელმოწერა განსაკუთრებით წარმატებით ჩატარდა ხვანჭკარის, ჭრებალოს, მუხლის, ზნაკვის სასოფლო საბჭოებში.

### ჩოხატაური

ჩოხატაურის საწარმო-დაწესებულებებსა და რაიონის კოლმეურნეობებში გაჩაღდა ახალ სესხზე ხელმოწერა. 3 მაისს ღამის 12 საათისათვის სესხის რეალიზაცია ძირითადად დამთავრდა. კოლმეურნეებმა ხელმოწერილი თანხა ნაღდად შეიტანეს.

### ყვარელი

რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ერთსულოვნად მოაწერეს ხელი ახალ სესხს. სესხზე ხელმოწერა პირველმა დაამთავრეს სოფელ ახალსოფლის მახარაძისა და შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობების, კოლმეურნეობა „მესვეურის", „წითელი ოქტომბრისა" და „ცხოვრების წყაროს" წევრებმა. კოლმეურნეებმა ხელმოწერილი თანხა ნაღდად შეიტანეს. მეაბრეშუმე კოლმეურნეებმა თამარ დუმბაძიშვილმა, ეკატერინე ხიზანაშვილმა და სხვებმა დიდ თანხაზე მოაწერეს ხელი.

### დუშეთი

რაიონის მშრომელები ხალისით აძლევენ სესხად სახელმწიფოს თავიანთ დანაზოგს. ფშავ-ხევსურეთში, გუდამაყარში, მთიულეთის მაღალმთიან სოფლებსა და ბარის ზონის კოლმეურნეობებში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ახალი სესხის გამოშვებას. დიდ თანხებზე მოაწერეს ხელი სოფელ მჭადიჯვრის სტალინის სახელობის, სოფელ ჩოხის „შრომის დროშას", ზემო მთიულეთის ჩარკვიანის სახელობის და მრავალი სხვა კოლმეურნეობის წევრებმა.

### გალი

წარმატებით ჩატარდა სესხზე ხელმოწერა რაიონის კოლმეურნეობებში. დიდ თანხებზე მოაწერეს ხელი სოფელ შეშელეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 70 წლის კოლმეურნემ ხ. ლეფონავამ, ბრიგადირმა თ. კვირტიამ, სტახანოველმა ა. ხურცილავამ. პირველ დღესვე დამთავრდა სესხზე ხელმოწერა აგრეთვე სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის, ჩხორთოლის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებში და სოფელ მუხურის კოლმეურნეობა „საბჭოთა აფხაზეთში".

### გაგრა

სოფელ ხეივნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატმა სოციალისტური შრომის გმირმა პროკოფი სვანიძემ და სტახანოველმა მეთამბაქოემ ეკატერინე წულაიამ, რომლებმაც დიდ თანხებზე მოაწერეს ხელი. სესხზე ხელმოწერა სწრაფად დამთავრდა სოფელ კოლხიდის ბერიას სახელობის, სოფელ სიხარულის ბერიას სახელობის, სოფელ განთიადის კუიბიშევის სახელობისა და რაიონის ბევრ სხვა კოლმეურნეობაში.

### ქობულეთი

რაიონის მშრომელები სიხარულით აძლევენ სახელმწიფოს სესხად თავიანთ შრომითს დანაზოგს. სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შემდგარ მიტინგზე პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა ჩაის უხვი მოსავლის ოსტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ჯიჯავაძემ. მან პირველმა მოაწერა ხელი ახალ სესხზე. ასევე სიხარულით მისცეს სახელმწიფოს სესხი ბრიგადირმა თ. მოწყობილმა, კოლმეურნე ხ. დავითაძემ და სხვებმა.

ახალი სესხი დიდი წარმატებით გავრცელდა ლენინის სახელობის ჩაქვის, სტალინის სახელობის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის, ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის, დაგვის ვოროშილოვის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში.

### სიღნაღი

წელს განსაკუთრებული სისწრაფით ვრცელდება ახალი სესხი რაიონის მოსახლეობაში. ამით ვლინდება რაიონის მშრომელთა მაღალი შეგნებულობა და მზადყოფნა ყოველი საშუალებით დაეხმარონ სამშობლოს კომუნიზმის მშენებლობის დიადი სტალინური პროგრამის განხორციელებაში.

სესხზე ხელმოწერა რაიონში დიდი წარმატებით გრძელდება.

### ქვემო სვანეთი

ქვემო სვანეთის მშრომელები პატრიოტული აღმავლობით განაგრძობენ ახალ სესხზე ხელმოწერას. მთელ რიგ კოლმეურნეობებში სესხის გავრცელება ძირითადად პირველ დღესვე დამთავრდა.

ყველაზე წარმატებით ჩატარდა ახალი სესხის გავრცელება სოფელ კახურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

### ცხაკაია

სამაგალითო დარაზმულობით შეუდგნენ ცხაკაიას რაიონის მშრომელები ახალი სახელმწიფო სესხის გავრცელებას. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის მზადყოფნის საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენეს და ახალ სესხს დიდი თანხის რაოდენობით მოაწერეს ხელი სოციალისტური შრომის გმირებმა ილარიონ ტყებუჩავამ, ამბაკო ჯანაშიამ, ვალერიან ბახტაძემ და მრავალმა სხვამ.

სესხის გავრცელება წარმატებით გრძელდება.

## 5.200.000 მანეთი ბინათმშენებლობისათვის

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). მიმდინარე წელს მარგანეცის ქალაქში ბინათმშენებლობისათვის განზრახულია დაიხარჯოს 5.200.000 მანეთი. აქედან 2,5 მილიონი მანეთი დაიხარჯება ქალაქის ცენტრში 70-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე, რომელიც 7,5 მილიონი მანეთი დაჯდება. წელს 4.700.000 მანეთი დაიხარჯება აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობებზე.

## ახალი ნაგებობანი კოლმეურნეობაში

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). მეორე სვირის სასოფლო საბჭოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა აშენებს ორსართულიან შენობას, რომელშიც მოთავსდება კოლმეურნეობის გამგეობა, საკოლმეურნეო საწყობი, სასოფლო კოოპერატივი და საკოლმეურნეო კლუბი.

მშენებლობაში კოლმეურნეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

## წყალსადენი სოფლის ცენტრში

**მახარაძე.** (საკ. კორ.). სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებით, სოფლის ცენტრიდან 2,5 კილომეტრის დაშორებით სოფელ ჭანუთურიდან ამას წინათ დაიწყო წყაროს წყლის გამოყვანა. მშენებლობა უკვე დამთავრებულია. იგი 50.000 მანეთი დაჯდა.

## სახელმწიფო დახმარება ომისა და შრომის ინვალიდებს

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ქალაქის საბჭოს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სამამულო ომის ინვალიდებს, ომში დაღუპულთა ოჯახებსა და შრომის პენსიონერებს სახელმწიფო დახმარების სახით მისცა 29.100 მანეთი. დახმარება მიიღო 157 ოჯახმა. სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად გაღებულია 12.650 მანეთი.

## მასწავლებლები დაუსწრებლად იღებენ უმაღლეს განათლებას

**სტალინირი.** (საკ. კორ.). ოლქის სახალხო განათლების ქსელში მომუშავე 300-მდე მასწავლებელი ამჟამად დაუსწრებლად იღებს განათლებას ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

ბევრი პედაგოგი, რომლებმაც დაუსწრებლად დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, ახლა წარმატებით მუშაობს სახალხო განათლების ფრონტზე.

## საინკუბატორო სადგური

**ახალციხე.** (საკ. კორ.). დაიწყო და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სარაიონთაშორისო საინკუბატორო სადგურის მშენებლობა. მშენებლობისათვის საჭირო სამშენი მასალა მოზიდულია.

სადგურის მშენებლობა წელსვე დამთავრდება. იგი ყოველწლიურად 4.000 წიწილას გამოჩეკს.

# ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲗᲐ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

ტარტუს ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

გომელის ოლქის დედლოვის სპირტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კურსკის ბიოფაბრიკის მუშებმა, სპეციალისტებმა და მოსამსახურეებმა;

სტალინგრადის კუიბიშევის სახელობის ხე-ტყის ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ტიუმენის ლიქიორ-არაყის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

„ლენენერგოს" ცენტრალური სარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

რიგის სამშენებლო ტექნიკუმის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა;

ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ურალის საცდელი ჰიდროტექნიკური სადგურის მეცნიერ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კურსკის ოლქის სტარი ოსკოლის სამასწავლებლო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, სტუდენტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

მოლოტოვის საოლქო პარტიული სკოლის და პარტიული და საბჭოთა აქტივის გადასამზადებელი კურსების მსმენელებმა, მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა;

ტიუმენის სატყეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ბაშკირეთის ასსრ განათლების სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა;

ჟურნალ „ნოვოე ვრემიას" რედაქციის მუშაკთა კოლექტივმა;

ალტაის მხარის უსტ-კალმანის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალისტიჩესკი მაიაკის" წევრებმა;

სამამულო ომის ინვალიდ-უსინათლოთა ლენინგრადის მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

ირკუტსკის ჰიდრომეტეოსამსახურის სამმართველოს და გეოფიზიკური ობსერვატორიის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ალტაის მხარის ლებიაჟის აგროსატყეო მელიორაციული საცდელი სადგურისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერ მუშაკთა, ინჟინერთა, მუშათა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტრესტ „რაიჩიხუგოლის" მაღაროს „ოლოჩკინ ოტროგის" მეშახტეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, მშენებლებმა და მოსამსახურეებმა;

მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა კოლექტივმა;

ჩაქოს ამიერკავკასიის ფედერაციის სახელობის ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ლენინგრადის ლენინის ორდენოსანი სახანძრო დაცვის მუშაკებმა;

ნოვოროსიისკის მაცივრის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ყაზახეთის სსრ აქტიუბინსკის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

არხანგელსკის ოლქის ისაკოგორსკის რაიონის შირინის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სარატოვის ოლქის ნოვოპეტროვსკის რაიონის მასწავლებელთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის მალჩევის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა;

კალუგის ოლქის ბაბინინის რაიონის კოლმეურნეობა „განთავისუფლებული შრომის" წევრებმა;

ალტაის სამხარეო ფილარმონიის, ქ. ბარნაულის სახალხო შემოქმედების სახლისა და მუსიკალური სკოლის მუშაკთა კრებამ;

ხარკოვის ოლქის ვოლჩანსკის რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებმა;

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაკთა კრებამ;

ტამბოვის ოლქის ნიკიფოროვის მტს-ის მუშათა, მოსამსახურეთა, ტრაქტორისტთა, კომბაინერთა და სპეციალისტთა კოლექტივმა;

ბლაგოვეშჩენსკის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

კურსკის ოლქის სტრიგუნოვის მტს-ის მუშათა, ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ვოლოგდის საქალაქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

უსტ-ტალმენის სატყეო ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა;

ციმბირის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა, ქ. ნოვოსიბირსკი;

სტალინგრადის წიგნის გამომცემლობის მუშაკებმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ პროკურატურის მუშაკთა კოლექტივმა;

ქალაქ ნოვოსიბირსკის არქიტექტორთა კრებამ;

ინგლისის კომუნისტური პარტიის ჩიჩესტერის ორგანიზაციამ;

პარიზის კარნოს ლიცეუმის კომუნისტებმა;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა და სახალხო თეატრების გაერთიანების თავისუფალი გერმანული პროფკავშირების ორგანიზაციამ;

სოფიის სამკითხველოთა კავშირის უმაღლესმა სამმართველო საბჭომ;

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პლოვდივის საოლქო და საქალაქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი კომუნისტური საღამოს სკოლის მსმენელებმა (ცეივაკანგასი, შვეცია);

სტოკჰოლმის ბლომენსვერგის და ასპუდენის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა;

ოშერსლებენის (გერმანია) ოლქის საოლქო კრებამ;

ჰინდისბურგის (გერმანია) სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების კოლექტივმა;

ლაიპციგის ქაღალდის დამმუშავებელი ფაბრიკის „იულიუს ზიუსის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

პოპოვის ოკოლიის სოფელ გლოგინკის (ბულგარეთი) მცხოვრებლებმა;

სოფიის სამშენებლო გაერთიანება „სოფსტროის" მუშა-მოსამსახურეებმა;

ბულგარეთის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკებმა;

ქ. დიმიტროვგრადის (ბულგარეთი) მშენებლებმა;

კარლოვარის ოლქის სოფელ ენისოვოს (ჩეხოსლოვაკია) მცხოვრებლებმა;

ქ. ოლომოუცის (ჩეხოსლოვაკია) მშრომელთა კრებამ;

კოლინის (ჩეხოსლოვაკია) ქარხანა „ტესლას" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ კიახტის აიმაკის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" წევრებმა;

ტიუმენის ოლქის ევსინის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბატრაკის ასფალტის ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

უზბეკეთის სსრ ურგენჩის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა;

თურქმენეთის სსრ ჩარჯოუს ოლქის კაგანოვიჩის რაიონის სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

მოსკოვ-კიევის რკინიგზის სამმართველოს მუშაკებმა;

აზერბაიჯანის რკინიგზის ალიათის საორთქლმავლო დეპოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. იაკუტსკის იუსტიციის მუშაკებმა;

ტაშკენტის პედინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ და მოსამსახურეებმა;

ვორონეჟის ოლქის სინდიაკინის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მინსკის სარკის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

## ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

# ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ

გულმოდგინედ მუშაობს კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის ქუთაისის აბრეშუმკომბინატის პარტიული ორგანიზაცია. პარტიული სწავლების კარგად დაყენების შედეგია, რომ აქ თვალსაჩინოდ ამაღლდა მუშა-მოსამსახურეთა იდეურ-პოლიტიკური დონე, პოლიტსკოლებისა და წრეების მსმენელებმა ისწავლეს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა, ადგენენ კონსპექტებს, აქტიურად მონაწილეობენ თეორიულ საკითხებზე გამართულ საუბრებსა და ამხანაგურ დისკუსიებში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელ 7 წრეში, რომლებიც კომბინატში მუშაობს, გაერთიანებულია 135 კომუნისტი. თვითეულ მათგანს აქვს კონსპექტი და რეკომენდებული ლიტერატურის სია. მსმენელები ე. ბაკურაძე, გ. სოხაძე, მ. შავერდოვი, პ. რობაქიძე, დ. შველიძე, ი. ძოძუაშვილი, რ. სეფიაშვილი და ი. კირეულაშვილი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. წრის მსმენელები ისე მოემზადნენ, რომ ხშირად გამოდიან თეორიულ საკითხებზე მოხსენებებით საამქროებსა და ცვლებში.

კომუნისტები შ. ესებუა, ა. მაღლაკელიძე, ს. გრძელიძე, გ. სეფიაშვილი და სხვები, რომლებიც პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან, გამოირჩევიან არა მარტო თეორიული მომზადებით, არამედ საწარმოო საქმიანობითაც. პროპაგანდისტი ს. გრძელიძე მექანიკური საამქროს ხელმძღვანელია. ის დაუღალავად იბრძვის საამქროს დაწინაურებისათვის. ეს საამქრო სისტემატურად 120-130 პროცენტით ასრულებს საწარმოო დავალებას, ხელს უწყობს კომბინატის გამართულ მუშაობას. ამხ. გრძელიძე მთელ თავის ცოდნას და უნარს იყენებს იმისათვის, რომ ყოველმხრივ დაეხმაროს მსმენელებს ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის დაუფლების საქმეში.

პროპაგანდისტი შ. ესებუა სისტემატურად იმაღლებს თავისი თეორიული ცოდნის დონეს, ყოველთვის ესწრება საქალაქო პარტკაბინეტთან არსებულ პროპაგანდისტთა სემინარს და გულმოდგინედ ემზადება ყოველი მეცადინეობისათვის. ამიტომ არის, რომ ამხ. ესებუას მიერ ჩატარებული ყოველი მეცადინეობა მსმენელთათვის საინტერესო და მიმზიდველია. იმ მსმენელებთან, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო უცდებათ მეცადინეობა, პროპაგანდისტი დამატებით ატარებს საუბარს და პირადად ეხმარება კონსპექტის შედგენაში.

კომბინატის პარტორგანიზაციასთან არსებულ სხვადასხვა ტიპის 14 წრესა და პოლიტსკოლაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამა ძირითადად ამოწურულია. როგორც პროპაგანდისტები და პოლიტსკოლის ხელმძღვანელები, ისე მსმენელები დიდ მუშაობას ეწევიან და გულდასმით ემზადებიან შემაჯამებელი მეცადინეობებისათვის.

სასწავლო წლის დამთავრებისათვის ასევე ენერგიულად ემზადებიან წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი, რომლებიც ბეჯითად მეცადინეობენ წინასწარ განსაზღვრული პირადი სამუშაო გეგმის მიხედვით. კონსულტანტები, რომლებიც წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს სერიოზულ დახმარებას უწევენ, საკუთარი ცოდნის გაღრმავებისათვისაც ენერგიულად მუშაობენ. კონსულტანტებმა კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ნ. შამათავამ და ელექტრომეურნეობის უფროსმა ა. მაღლაკელიძემ წარმატებით დაამთავრეს საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი.

პარტბიურო სისტემატურად ამოწმებს წრეებისა და პოლიტსკოლების საქმიანობას, კონტროლს უწევს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს. ბიუროს სხდომაზე პროპაგანდის საკითხი მრავალჯერ იქნა განხილული. მიღებული დადგენილების შესრულებას მტკიცე კონტროლი ეწევა. გათვალისწინებულია უახლოეს ხანებში პარტიულ კრებაზე განხილულ იქნას პარტიული განათლების ქსელში მუშაობის ორგანიზებულად დამთავრების საკითხი.

**Გ. ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲝᲮ-ᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ

**ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ.** (საკ. კორ.). სასოფლო ბიბლიოთეკებმა და ქოხ-სამკითხველოებმა უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღეს პოლიტიკური, მხატვრული და აგრობიოლოგიური ლიტერატურა. სტალინირის რაიონის სოფელ ვანათის სასოფლო ბიბლიოთეკა შეივსო 2.200 მანეთის ლიტერატურით, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის ქოხ-სამკითხველო — 2.400 მანეთის, ლენინგორის რაიონის კორინთის ქოხ-სამკითხველო — 1.000 მანეთის, ქარჩოხის ქოხ-სამკითხველო — 1.500 მანეთის ლიტერატურით და სხვ. საოლქო ბიბლიოთეკამ შეიძინა 30.000 მანეთის ლიტერატურა, ლენინგორის რაიონულმა ბიბლიოთეკამ — 6.000 მანეთისა.

წიგნის ფონდის გადიდებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქოხ-სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების მკითხველთა რიცხვი.

მიმდინარე წელს ოლქის ბიბლიოთეკები და ქოხ-სამკითხველოები მიიღებენ ასეულ ათასობით მანეთის ახალ ლიტერატურას.

# ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲞᲐᲢᲠᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქდესის 1949 წლის 4 იანვრის ცნობაში აღნიშნული იყო, რომ გერმანელი სამხედრო ტყვეების დიდი უმრავლესობა საბჭოთა კავშირიდან გერმანიაში რეპატრიირებულ იქნა 1948 წლის დამლევისათვის და რომ დარჩენილ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაცია წარმოებს საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული გეგმით და უნდა დამთავრდეს 1949 წლის განმავლობაში.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამჟამად გერმანიაში რეპატრიირებულია სამხედრო ტყვეთა უკანასკნელი ჯგუფი 17.588 კაცის რაოდენობით.

ამრიგად, ამჟამად საბჭოთა კავშირიდან გერმანიაში გერმანელ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაცია სავსებით დამთავრებულია. სულ გერმანიის კაპიტულაციის დროიდან საბჭოთა კავშირიდან [illegible] რეპატრიირებულ იქნა 1.939.063 გერმანელი სამხედრო ტყვე, მათ შორის 58.103 გერმანელი სამხედრო ტყვე, რომლებიც გამოელინებულ იქნენ საბჭოთა კავშირში მყოფ სხვა ეროვნებათა სამხედრო ტყვეებს შორის 1947-1949 წლების განმავლობაში.

გერმანელ სამხედრო ტყვეთაგან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დარჩა 9.717 კაცი, რომლებიც მსჯავრდადებული არიან მათ მიერ ჩადენილი მძიმე სამხედრო დანაშაულისათვის, და 3.815 კაცი, რომელთა საქმეები სამხედრო დანაშაულობათა შესახებ გამოძიების სტადიაშია, აგრეთვე 14 კაცი, რომლებიც დროებით დატოვებული არიან ავადმყოფობის გამო და რომელთა რეპატრიაცია მოხდება მათი მკურნალობის დამთავრების შემდეგ.

## ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

# „ᲨᲔᲛᲩᲜᲔᲣᲚ" ᲓᲐ „ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲔᲚ" ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სკოლაში მოწაფეთა აკადემიური წარმატების შემდგომი ამაღლება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახელმძღვანელოთა ხარისხზე. ჩვენი სახელმძღვანელოების დიდი უმრავლესობა იდეურად გამართულია და კარგადაცაა გამოცემული. მიუხედავად ამისა, საქართველოს სახელგამს სახელმძღვანელოთა გამოცემის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს.

ჩვენს ხელთ არის ქართული საშუალო სკოლის მე-8 კლასის სახელმძღვანელო **«Хрестоматия по русской литературе»** (სახელმძღვანელოს შემდგენელნი პროფესორი გ. ახვლედიანი, მ. ოგანეზოვა, გ. ფაღავა). აღნიშნული წიგნი სახელგამმა მიმდინარე სასწავლო წლისათვის 1949 წელს გამოსცა.

ჩვენ არ შევუდგებით სახელმძღვანელოს შინაარსის გარჩევას. შევჩერდებით მხოლოდ მისი გამოცემის ხარისხზე. რადგან წიგნი წარმოადგენს რუსული ლიტერატურის სახელმძღვანელოს ქართული სკოლებისათვის, საფიქრებელი იყო, რომ სახელგამი მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა მის გამოცემას. მაგრამ ეს ასე არ არის.

„ლენინსკოე ზნამიას" სტამბის და ამ წიგნზე მომუშავე სახელგამის მუშაკთა უპასუხისმგებლობის შედეგად წიგნი ცუდად არის მატრიცირებული, რის გამო მრავალ სიტყვაში ასო არა ჩანს, ეს კი უამრავ შეცდომას იწვევს.

სახელგამმა სახელმძღვანელოს დაურთო შეცდომების გასწორება, სადაც „რჩევას აძლევს რუსული ენის მასწავლებლებს გაასწორონ შეცდომები მოწაფეთა წიგნებში". ასეთი ე. წ. შემჩნეული შეცდომები აღნიშნულ „გასწორებაში" ჩვენ 70-მდე დავითვალეთ, ხოლო წიგნის გულდასმით გადათვალიერებისას შეუმჩნეველი შეცდომები თითქმის ორჯერ მეტი აღმოჩნდა. 137-ე გვერდზე 4 შეცდომაა, შეცდომათა გასწორებაში კი აღნიშნულია მხოლოდ 1; გამომცემლობისათვის 3 შეცდომა „შეუმჩნეველი" დარჩა. 235-ე გვერდზე შეცდომათა გასწორებაში აღნიშნულია მხოლოდ 3, ფაქტიურად ამ გვერდზე გამომცემლობისათვის 10-მდე შეცდომა „შეუმჩნეველი" დარჩა. ანალოგიური მდგომარეობაა 238-ე, 239-ე გვერდებზე და ა. შ. გაკვირვებას იწვევს ის, რომ აღნიშნული წიგნის კორექტორის ვინაობა მკითხველისათვის უცნობია.

მომავალში თავიდან რომ ავიცილოთ მსგავსი შეცდომები, საჭირო იქნება სახელგამმა უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდოს ხელი სახელმძღვანელოთა გამოცემას, ტექნიკური რედაქტორებისა და კორექტორების შერჩევას. პასუხისმგებელ რედაქტორებს კი მეტი მომთხოვნელობა მართებთ.

**Ნ. ᲯᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

ტყიბულშახტმშენის ტრესტის მშენებელი ინჟინერი გ. ოყროშიძე დიდი ხანია მუშაობს მეშახტეთა საცხოვრებელი ბინების გათბობის გაუმჯობესებისა და ამ გზით საწვავის ეკონომიის საკითხებზე. ამის შედეგად ინჟინერმა ოყროშიძემ მიაღწია მეტად მნიშვნელოვან წარმატებას. მან გამოგონების ორი ვარიანტი წამოაყენა, რომლებიც შეეხება სათბობი მასალის წვის დაწყების მომენტიდანვე გამოყოფილი კალორიების მაქსიმალურად გამოყენებას.

პირველი ვარიანტი, რომელიც უშუალოდ საერთო საცხოვრებლების გათბობას შეეხება, უკვე განხორციელებულია სტანდარტული ტიპის ორ საცხოვრებელ სახლში. საერთო საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულის პატარა ღუმელზე მოწყობილია წყალსათბობი ავზი, რომელსაც ზევით და ქვევით უერთდება წყალგამტარი რკინის მილები. ბინის სხვენში გამავალ საკვამლე მილში მოთავსებულია აგრეთვე მეორე, ე. წ. წყალშემკრები ავზი, რომელსაც, ისე როგორც წყალსათბობ ავზს, უერთდება წყალგამტარი ორი მილი.

ღუმელში ცეცხლის დანთებით თბება წყალსათბობი ავზი, ხოლო გამოყოფილი კვამლი ირგვლივ უვლის წყალშემკრებ ავზს, რომელსაც აგრეთვე ნაწილობრივ ათბობს. გამთბარი წყალი გადადის წყალშემკრებ ავზში, ხოლო აქედან იგი ნაწილდება ოთახებში და ათბობს რადიატორებს. სითბოდაკარგული წყალი რადიატორებიდან კვლავ ბრუნდება იმავე წყალსათბობ ავზში და ასე იქმნება ცხელი წყლის განუწყვეტელი მოძრაობა მილგაყვანილობის წრედში, რაც ოთახების გათბობის ეფექტიან შედეგს იძლევა. მთელ ბინაში იქმნება ნორმალური ტემპერატურა, ლიკვიდირებულია ანტისანიტარია, თავიდანაა აცილებული ხანძრის საშიშროება და, რაც მთავარია, იძლევა სათბობი მასალის დიდ ეკონომიას. იმ საერთო საცხოვრებელ სახლში, სადაც განხორციელდა ეს გამოგონება, წინათ გათბობისათვის გამოყენებული იყო 21 ღუმელი, რომლებიც ზამთრის სეზონში წვავდა სულ მცირე 84 ტონა ქვანახშირს. ამ გამოგონების განხორციელების შემდეგ კი ზამთრის სეზონში გათბობისათვის 8 ტონა ქვანახშირი დაიხარჯა. მარტო ამ სახლში სათბობის ეკონომია ფულადი გამოხატულებით 7.270 მანეთს უდრის.

ეს მნიშვნელოვანი გამოგონება განხორციელებულია აგრეთვე მაღაროების ცენტრალური უბნის რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის ერთ საოჯახო ბინაში, რომელიც ორი ოთახის, სამზარეულოს, აბაზანისა და აივნისაგან შედგება. საოჯახო ბინის გათბობა ამავე სისტემის მეორე ვარიანტით წარმოებს. აქ წყალგამთბობი ავზი მოთავსებულია უშუალოდ სამზარეულოს ღუმელზე, საიდანაც წარმოებს ოთახების გათბობა და აბაზანის ცხელი წყლით უზრუნველყოფა. მთელი ბინის გათბობისათვის საწვავი მასალა იხარჯება იმდენი რაოდენობით, რაც ოჯახს ერთი ოთახის გათბობისათვის სჭირდება მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

ბინების დღემდე არსებული ორთქლით გათბობისაგან ეს გამოგონება იმით განსხვავდება, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დიდ, ისე მცირე მოცულობის საერთო საცხოვრებელ, აგრეთვე ცალკეულ საოჯახო ბინებში. ამასთან, მისი მოწყობა მეტად ადვილია და იაფი ჯდება.

მიღებულია საჭირო ღონისძიება ტყიბულში ამ გამოგონების ფართოდ დანერგვისათვის.

**Ვ. ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

# ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პარტიული განათლების ქსელში მიმდინარე სასწავლო წელს მეცადინეობა ორგანიზებულად დაიწყო და ამჟამად ნორმალურად მიმდინარეობს. სასწავლო წლის პირველი დღეებიდან მუშაობას შეუდგა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელი 29 წრე, რომლებშიც 469 კომუნისტი და 62 კომკავშირელი სწავლობს. მუშაობს 29 პოლიტსკოლა, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 7 წრე, რომლებშიც 96 კომუნისტი და 42 კომკავშირელი მეცადინეობს. მუშაობს პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედი სემინარი, რომელიც 31 კაცს აერთიანებს. მიმდინარე სასწავლო წელს მუშაობას დაამთავრებს პარტიის რაიკომთან შექმნილი საღამოს ორწლიანი პარტიული სკოლა, რომელიც 19 მსმენელს ითვლის. 193 კომუნისტი დამოუკიდებლად ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელთათვის შექმნილია ორი სემინარი. სემინარის ხელმძღვანელები პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, მაღალ იდეურ დონეზე ატარებენ ყველა მეცადინეობას. სემინარის მსმენელებმა შეისწავლეს ისეთი საკითხები, როგორიცაა „წიგნზე მუშაობის ხერხები და მეთოდები", „პროპაგანდისტის მომზადება მეცადინეობისათვის", „პროპაგანდისტის მეტყველების შესახებ", „მეცადინეობაზე თვალსაჩინოების გამოყენების შესახებ". გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით სისტემატურად ეწყობა ცალკეული პროპაგანდისტების მიერ ჩატარებული მეცადინეობის საჩვენებელი გარჩევა.

პარტიულ კაბინეტში მოწყობილია შესასწავლ თემებზე სახელმძღვანელოებისა და სხვა მასალების გამოფენა. პროპაგანდისტების დიდი უმრავლესობა მომარაგებულია რუკებით, დიაგრამებით, ალბომებით და თვალსაჩინოების სხვა მასალებით. როგორც პროპაგანდისტები, ისე მსმენელები უზრუნველყოფილი არიან სასწავლო ლიტერატურით.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა პარტიული პროპაგანდის ხარისხი. პარტიული განათლების ქსელის მუშაობის შემოწმებამ ცხადყო, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა და კონტროლი კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმისადმი. მეტწილ პოლიტსკოლებსა და წრეებში სასწავლო პროგრამები წარმატებით სრულდება და მეცადინეობა მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს.

სასწავლო წლის დაწყებიდანვე გამოირჩევიან სოფელ მეორე ობჩის სასოფლო საბჭოს (პროპაგანდისტი მ. მჟავიადაძე), რაისაბჭოს აღმასკომის (პროპაგანდისტი მ. თავხელიძე), სოფელ მაიაკოვსკის ბერიას (პროპაგანდისტი ე. ჩიქვინიძე) და სოფელ დიმის კალინინის (პროპაგანდისტი ს. გრძელიძე) სახელობის კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული პოლიტსკოლები და წრეები.

პოლიტიკური განათლების საქმეს კარგად ხელმძღვანელობენ აგრეთვე სოფელ საკრაულას კოლმეურნეობის — „კომუნისაკენ", სოფელ მეორე ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის, სოფელ როკითის და პირველი ობჩის სასოფლო საბჭოებთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელი 29 წრე წელს დაამთავრებს მუშაობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მხრივ არასაკმაო კონტროლის გამო პოლიტსკოლებსა და წრეებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მეცადინეობის გადადების შემთხვევებს, რაც გამოწვეულია მსმენელთა გამოუცხადებლობით. შემოწმებით გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის 20 მარტისათვის ჩამორჩენილი იყო ერთი თემით 4 წრე, ორი თემით — ერთი წრე. აღნიშნულ წრეებს დასჭირდებათ დამატებითი მეცადინეობის მოწყობა პროგრამული მასალის ასათვისებლად. განსაკუთრებით საგრძნობია ჩამორჩენა მევენახეობა-მეღვინეობის ვარციხის საბჭოთა მეურნეობის, სოფელ ძეორე ობჩის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის, სოფელ ხანისა და მაიაკოვსკის ტერიტორიულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელ წრეებში. ჩამორჩენა ძირითადად გამოწვეულია მეცადინეობაზე მსმენელთა მოუმზადებელი გამოცხადებით. მეცადინეობის ჩაშლას იწვევს აგრეთვე ზოგიერთი პროპაგანდისტის მიერ საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება. სოფელ ხანის სასოფლო საბჭოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული წრის პროპაგანდისტი ამხ. ნ. კაშიბაძე ხშირად არ ესწრება პროპაგანდისტთა სემინარს, მეცადინეობის პროცესში არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ ადგენს წინასწარ გეგმა-კონსპექტს. შემოწმებისას ამ წრის მსმენელებმა არასაკმაო მომზადება გამოამჟღავნეს.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებიდან, რომლებიც ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ, დიდმა უმრავლესობამ გეგმით გათვალისწინებული მასალები მოცემულ დროში შეისწავლა. ამათგან 20 კაცმა დაწერა რეფერატი თემებზე: „კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", ვ. ი. ლენინის „რანი არიან ხალხის „მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ", „რა ვაკეთოთ?" „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" და სხვ. ხშირად ეწყობა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, თეორიული გასაუბრებანი და სხვ.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტების დასახმარებლად ჩატარებულია 49 ლექცია. ქმედით დახმარებას უწევენ დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს კონსულტანტები ვ. გიორგობიანი, კ. ფურაძე, ი. ნებიერიძე. ისინი ხშირად ატარებენ ინდივიდუალურ კონსულტაციას, ითვალისწინებენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე თვითეული კომუნისტის მოთხოვნებს, მასალების მთლიანად შესწავლის შემდეგ არკვევენ მისი შეთვისების ხარისხს.

აღსანიშნავია, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ყველა კომუნისტი არ იჩენს მონდომებას მარქსიზმ-ლენინიზმის დასაუფლებლად. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციების არასაკმაო კონტროლის შედეგად დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებმა ს. კოტრიკაძემ, მ. ძიძიგურმა, ვ. გრძელიძემ, ლ. ფუტკარაძემ, მ. ყიფიანმა, შ. დვალიშვილმა დაგვიანებით შეადგინეს ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, რის გამო ისინი გეგმით გათვალისწინებული მასალების შესწავლას ვერ ასწრებენ.

სერიოზულ მუშაობას ეწევა რაიკომთან არსებული პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედი სემინარი, რომლის მუშაობა არსებული სანიმუშო გეგმის მიხედვით სწარმოებს.

ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით რაიკომთან შექმნილია ორწლიანი პარტიული სკოლა, რომლის მეცადინეობა კვირაში ერთხელ წარმოებს. ამ სკოლაში იყო მეცადინეობაზე მსმენელთა გამოუცხადებლობის შემთხვევები. პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა საღამოს პარტიულ სკოლაში მეცადინეობის მიმდინარეობის საკითხი, დასახა სათანადო ღონისძიებანი. მას შემდეგ საღამოს პარტიული სკოლის მუშაობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. საღამოს პარტიული სკოლა მიმდინარე სასწავლო წელს ამთავრებს მუშაობას.

რაიონული კომიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მიმდინარე სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში ორგანიზებულად დამთავრდეს.

**Ვ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ**
საქართველოს კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი

# ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

**ᲑᲐᲥᲝ.** („კომუნისტის" კორ.). აზერბაიჯანელ მებამბეთა შორის ფართოდ ვრცელდება სოციალისტური შრომის გმირის, კარიაგინოს რაიონის სოფელ არაიათლის კოლმეურნეობა „პირველი მაისის" წევრის შამამა ჰასანოვას ინიციატივა — მებამბეობის ჩამორჩენილ რგოლებზე შეფობის აღება და დახმარების გაწევა, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნას ბამბის მთელ ფართობებზე უხვი მოსავლის მიღება.

შამამა ჰასანოვას რგოლს 6 ჰექტარი პლანტაცია აქვს. ამ ფართობზე ბამბის მოსავალს შესანიშნავი პირი უჩანს. ამას მისი რგოლის წევრებმა მიაღწიეს ნათესის დროულად და მაღალხარისხოვნად დამუშავების შედეგად. წელს ჰასანოვას რგოლის მოწინავე წევრები უკვე დამოუკიდებლად ხელმძღვანელობენ სხვა რგოლებს და მიზნად ისახავენ სახელმწიფოს მისცენ საშუალოდ ჰექტარზე 85 ცენტნერი ბამბის მოსავალი.

შამამა ჰასანოვამ შეფობა აიღო კოლმეურნეობის იმ ორ რგოლზე, რომლებიც შარშან ყველაზე სუსტად მუშაობდნენ. რგოლების წევრებთან და ხელმძღვანელებთან ერთად გმირმა აზერბაიჯანელმა მებამბე ქალმა ჰასანოვამ იკისრა მიაღწიოს ამ რგოლთა ნათესების თვითეულ ჰექტარზე სულ ცოტა 80 ცენტნერი ბამბის მოყვანას.

ჰასანოვას ინიციატივას გამოეხმაურნენ დანარჩენი მოწინავე მერგოლურეებიც — ცირუზა მამედოვა, ჰუმრუ ნაბიევა და სხვები. ჩამორჩენილ რგოლებზე მოწინავეთა შეფობის შედეგად არაიათლელმა მებამბე კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წელს უზრუნველყონ საშუალოდ ჰექტარზე სულ მცირე 40 ცენტნერი ბამბის მიღება.



თბილისი. ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს დეპოებში სისტემატურად გამოდის კარგად გაფორმებული კედლის გაზეთები. სურათზე: № 1 საამქროს კედლის გაზეთ „ხარისხისათვის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები (მარჯვნიდან) ლ. ტატიაშვილი (რედაქტორი), გ. სამადაშვილი (რედკოლეგიის წევრი) და მუშკორი ეთერ უთიაშვილი მუშაობენ გაზეთის მორიგი ნომრის გაფორმებაზე.

## შინაარსიანად, საინტერესოდ

შარშან დეკემბერში მოწყობილ კედლის გაზეთების საქალაქო გამოფენაზე საუკეთესო შეფასება მიიღო თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციის გაზეთმა „კომკავშირელმა“, რომელიც საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

კედლის გაზეთი „კომკავშირელი“ (რედაქტორი გ. ბეზშკურენკო) რაზმავს ახალგაზრდობას საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, იბრძვის ახალი ტექნიკის დასანერგავად, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად, აწარმოებს მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას.

მიმდინარე წლის იანვარში გაზეთმა მოათავსა მექანიკური საამქროს ტექნოლოგის ამხ. ო. ომიაძის წერილი, რომელიც ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდის დანერგვას ეხება. წერილში მოთხრობილია, თუ როგორ ეუფლება აღნიშნული საამქროს ახალგაზრდობა ლითონის ჩქაროსნულ ჭრას. გაზეთი წერს: „მთელი საამქრო ამაყობს ლითონის ისეთი ჩქაროსნული მჭრელებით, როგორიც არიან ხარატები ა. გოლობოვი, გ. აბელოვი, ო. ნათაძე, ვ. ბოლოთაშვილი, ი. ფედორენკო, მღარავი ა. ურმაკოვი და სხვები. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ იმუშაონ ლენინგრადის სვერდლოვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ხარატ ჰ. ბორტკევიჩის მაგალითისამებრ. ამჟამად საამქროში 25 ჩქაროსანი მჭრელია“.

როგორც კედლის გაზეთ „კომკავშირელის“ ყველა ნომერი, ისე თებერვალში გამოცემული ნომერიც ყურადღებას იპყრობს შინაარსიანი წერილებით, სადა და მიმზიდველი გაფორმებით. თავის წერილში ამხ. ა. გოლობოვი მოგვითხრობს კომკავშირელთა შრომითს წარმატებებზე. აქვეა წერილები საიგიტაციო მუშაობაზე, კომკავშირელთა პოლიტიკურ განათლებაზე, კომკავშირული მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ქარხნის ახალგაზრდობამ თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა. ამ წარმატებებზე მოგვითხრობს კედლის გაზეთის საპირველმაისო ნომერი. საინტერესოა ინჟინერ-ელექტრიკოს გ. ფაილოძის წერილი. წერილში ვკითხულობთ, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია საიარაღო საამქროს ამლესავმა, კომკავშირელმა გ. ზარქუამ, რომელმაც მაისის გეგმა 300 პროცენტით გაანაღდა. პირველი მაისის დღესასწაულს დიდი მიღწევებით შეეგებნენ აგრეთვე საამწყობო საამქროს ზეინკლები დ. ღლონტი, შ. ფირცხალავა და სხვები.

გაზეთში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებსაც. გაზეთი იუწყება, რომ შარშან ქარხანამ მოაწყო სპორტული ბაზა, წელს აშენებენ წყლის აუზს, მაგრამ ფრენბურთის მეორე მოედანი ჯერ კიდევ კეთილმოუწყობელია.

გაზეთს შემოკრებილი ჰყავს კორესპონდენტთა აქტივი. საინტერესო წერილებს წერენ მუშკორები: პ. კნიში, ვ. კონონოვა, ვ. კრუგლიაკოვი და მრავალი სხვა. ქარხნის კომკავშირის ორგანიზაცია (მდივანი ამხ. პ. ვაშაკიძე) გაზეთს ქმედითს ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს.

კედლის გაზეთ „კომკავშირელს“ ნაკლოვანებანიც აქვს. მის ფურცლებზე ჯერ კიდევ მცირე ადგილი ეთმობა კრიტიკასა და თვითკრიტიკას. გაზეთი ზოგჯერ ბოლომდე არ მისდევს კორესპონდენტთა სიგნალებს და სხვ. ამ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ გაზეთმა დაუღალავად უნდა იბრძოლოს.

**ს. პავლიაშვილი**

## როცა მშრომელთა სიგნალებს უყურადღებოდ ტოვებენ

ამბროლაურის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში მრავალი სიგნალი შედიოდა სოფელ ხოტევის კოლმეურნეობა „გლეხის იმედში“ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევისა და სხვა დამახინჯებათა შესახებ, მაგრამ ამ სიგნალებს უყურადღებოდ ტოვებდნენ.

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოსული წერილის ადგილზე შემოწმებით დადასტურდა, რომ ეს კოლმეურნეობა „გლეხის იმედი“ წლითიწლობით ვერ ასრულებს მოსავლიანობის გეგმებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ნიადაგში არ შეაქვთ საჭირო რაოდენობის სასუქი. შარშან 5.992 ურემი ნაკელის ნაცვლად შეიტანეს მხოლოდ 2.500 ურემი. 1948 წელს კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა მხოლოდ 4,73 ცენტნერი სიმინდი, 3,9 ცენტნერი ხორბალი. მცირე იყო სხვა კულტურების მოსავალიც. ეს მდგომარეობა განმეორდა 1949 წელსაც. კოლმეურნეობაში მოსავლის აღრიცხვა მოუწესრიგებელია. შარშან საწალიკის მთაში კარტოფილის აღების დროს აქტი არ შეადგინეს და არც იციან სინამდვილეში რამდენი ცენტნერი კარტოფილია მიღებული. ეს ქმნის მოსავლის განიავების შესაძლებლობას.

მრავალ უკანონობას ჩადის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. კობახიძე. მაგალითად, კოლმეურნე ც. გოცირიძე საცხოვრებლად გადავიდა თეთრი წყაროს რაიონში, ხოტევში კი კაპიტალური შენობა დატოვა, რომელიც კოლმეურნეობას ჰქონდა დაქირავებული. მაგრამ კ. კობახიძემ ამ სახლში ჩაასახლა თავისი ძმა გ. კობახიძე. სახლის ქვემო სართულში კოლმეურნეობის საწყობია მოთავსებული და კოლმეურნეობა ქირას უხდის გ. კობახიძეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეშ თავის გარშემო შემოიკრიბა ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები. მაგალითად, მოანგარიშედ მუშაობს მისი ძმა გ. კობახიძე, ცოლისძმა ნ. ყრუაშვილი ბრიგადირია, ბრიგადირებად მუშაობენ მისი ნათესავები გრიგოლ და ილარიონ კობახიძეები. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აქამდე მუშაობდა ვ. კობახიძე. ამიტომაც კ. კობახიძე საქმეს ისე აჭახრაკებს, როგორც მოესურვება, მფარველობს ახლობლებს. მისი ცოლის ძმა ნ. ყრუაშვილისათვის გასულ წელს მოსავლელად ჩაბარებული მსხმოიარე ხეხილის ბაღი განადგურდა, მოსავალი სრულებით არ მიუღიათ, ბაღის გარშემო არსებული ღობეც კი ნ. ყრუაშვილმა შინ წაიღო. დასჯის ნაცვლად ნ. ყრუაშვილს 1949 წელს ბაღის „მოვლისათვის“ 48 შრომადღე დაუწერეს.

1948 წელს მეაბრეშუმეობის რგოლმა, რომელსაც ანასტასია კაციტაძე ხელმძღვანელობს, გადაჭარბებით შეასრულა მოსავლიანობის გეგმა. ამის გამო 10 მეაბრეშუმისთვის უნდა მიეცათ პრემია — წანამატის სახით 938 მანეთი და 20 კაპ. ეს თანხა დღემდე არაა გაცემული. ამის შესახებ ეცნობა პარტიის რაიკომს, პროკურატურას, მაგრამ მშრომელთა საჩივარი უყურადღებოდ დატოვეს.

კოლმეურნეობა სუსტად იბრძვის მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულებისათვის. გასულ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 77,4 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 600 ლიტრისა. ცუდი მოვლისა და კვების შედეგად 1949 წელს მოკვდა 21 სული პირუტყვი, ხოლო მიმდინარე წელს —10. ფერმის პირუტყვი უზრუნველყოფილი არ იყო საკვებით: 8.000 ცენტნერის ნაცვლად დაამზადეს 4.706 ცენტნერი საკვები.

კოლმეურნეობაში ადგილი აქვს საკოლმეურნეო პროდუქტების უკანონოდ გაცემას. მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარის კ. კობახიძის განკარგულებით ხონის რაიონში მცხოვრებ რ. ენუქიძეს ნისიად მისცეს 4.000 მანეთის ღირებულების 200 კილოგრამი თაფლი. ამ უკანასკნელმა თაფლი თბილისში გაყიდა, კოლმეურნეობაში შეიტანა მხოლოდ 900 მანეთი. თაფლი მას უფაქტუროდ გაატანეს. ცხადია, აქ საქმე გვაქვს სპეკულაციასთან. ამას არავინ მიაქცია ყურადღება.

კოლმეურნეობის გამგეობა ყურადღებას არ აქცევს მშენებლობის საქმეს. აქ 1947 წლიდან შენდება სასიმინდეები. მშენებლობა დღესაც არ არის დამთავრებული. ამის გამო სათესლე სიმინდს ინახავენ კოლმეურნეთა ოჯახებში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თვითნებურად წყვეტს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს და ანგარიშს არ უწევს კოლმეურნეთა სურვილს. მაგალითად, გასულ წელს მოსავლის აღების პერიოდში მან 19 უღელი ხარი და 19 კოლმეურნე წაიყვანა შეშის მოსატანად საკუთარი ოჯახის საჭიროებისათვის. 1948 წელს კოლმეურნეობამ შეიძინა 850 ცალი კრამიტი. იგი დანიშნულებისამებრ არ გამოიყენეს და თავმჯდომარის განკარგულებით მიყიდეს მის ძმას გ. კობახიძეს, ხოლო ღირებულება 850 მანეთი დღესაც არ არის გადახდილი. არის თანხის არასწორად ჩამოწერისა და აქტების შედგენის შემთხვევებიც. კოლმეურნეთა საერთო კრების გარეშე შეამცირეს თაფლის ფასი და ჩამოსწერეს 10.236 მანეთი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. კობახიძე უხეშად ეპყრობა კოლმეურნეებს, ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებს მათ.

კოლმეურნეობა „გლეხის იმედის“ თავმჯდომარის უხეში მოქმედების შესახებ 1949 წელს საჩივარი შეიტანეს ამბროლაურის რაისაბჭოს აღმასკომში. სიგნალების შემოწმება დაავალეს სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს ამხ. მ. ბედენაშვილს. მან შემოწმების შედეგები წარუდგინა აღმასკომს. ეს მასალები საქმეში ჩააკერეს, მშრომელთა სიგნალები კი უყურადღებოდ დატოვეს.

პარტიის ამბროლაურის რაიკომი ვალდებულია ამ ფაქტებიდან საჭირო დასკვნები გააკეთოს.

**ზ. მეტრეველი**
**ნ. პლატონიძე**

## არქიტექტორის შემოქმედებითი გამარჯვება

ალექსი მიმინოშვილი არქიტექტორთა ახალი თაობის ნიჭიერი წარმომადგენელია. მან დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა. ამ მუშაობის შესანიშნავ ნაყოფს წარმოადგენს მარტის ქუჩაზე № 3 საცხოვრებელი სახლი, რომლის არქიტექტურისათვის ა. მიმინოშვილს მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

ავტორმა [illegible] მიწის ნაკვეთის [illegible] (22 მეტრი) და შექმნა არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც თავისი საუკეთესო პროპორციებით და კომპოზიციური მთლიანობით შეინარჩუნებს დომინირებულ მდებარეობას მარტის ქუჩის მომავალი რეკონსტრუქციის შემდეგ.

მშენებლობის პროცესის ყველა სტადიაზე ყოველდღიური და სისტემატური მონაწილეობით, ავტორმა შესძლო განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი, რის შედეგად მივიღეთ დასრულებული, ცხოველმყოფელი, კომპოზიციურად მთლიანი ნაწარმოები.



სახლი მარტის ქუჩაზე ხუთსართულიანია. პირველი სართული შემოსილია მუქი ფერის ალგეთის ბაზალტით და წარმოადგენს მთელი შენობის კვარცხლბეკს. მასზე აღმართულია 4 სართული, შემოსილი ბოლნისის ოქროსფერი ტუფით, რომლის ცხოველ გამოსახულებას ამშვენებს ალაგ-ალაგ ჩართული მოთეთრო ექლარის ქვა — მორთული ქართული ჩუქურთმით.

მთავარი ფასადი მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთით, რაც ავტორმა კარგად გამოიყენა. სართულებზე ღია აივნების მოხერხებული განლაგება, მეხუთე სართულზე თაღადი ლოჯიის მოწყობა და საგრძნობლად გადმოწეული, მდიდრულად მორთული, კომპოზიციის დამაგვირგვინებელი კარნიზი — ფასადზე ძლიერ და ღრმა შუქჩრდილის თამაშს ქმნის.

ფასადის დამუშავების ხასიათი გამოირჩევა ორნამენტულ მორთულობათა ზომიერი გამოყენებით, რომლის ნახატის კომპოზიცია შექმნილია ქართულ ხუროთმოძღვრულ ტრადიციათა მდიდარი მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების საფუძველზე. შენობაში 4 და 5 ოთახიანი ბინები კომპაქტურია და გადაწყვეტილია კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. ყველა ბინა უზრუნველყოფილია საჭირო დამხმარე სათავსებით და ფართო შუშაბანდებით, საიდანაც იხსნება პერსპექტიული ხედი კიროვის სახელობის პარკსა და მტკვრის ხეობაზე.

ამ სახლის ერთ-ერთი ბინის ნათელ და მზის სხივებით სავსე ოთახში ყურადღებას იპყრობს დიდ დაფაზე გემოვნებით შესრულებული საცხოვრებელი სახლის პროექტის პერსპექტული ხედი. ეს სახლი მალე დაამშვენებს თბილისის ულამაზეს ადგილს — ფიქრის გორას. პროექტს ახალი ენერგიით და შემოქმედებითი ენთუზიაზმით ამუშავებს სტალინური პრემიის ლაურეატი არქიტექტორი ალექსი მიმინოშვილი.

**არქიტექტორი მ. ლორთქიფანიძე**

## ჭანიეთში უნდა გაიხსნას ჩაის პუნქტი

მახარაძის რაიონის სოფელ ჭანიეთში წინათ ჩაის მიმღები პუნქტი იყო, მაგრამ გასულ წელს რატომღაც გააუქმეს. ამის გამო კოლმეურნეებს 5-5,5 კილომეტრის მანძილზე უხდებოდათ ნაკრეფი ფოთლის გადაზიდვა, რაც დიდი რაოდენობის მუშახელს აცდენდა და, რაც მთავარია, სიცხიან ამინდში დიდად სცემდა მოკრეფილი ფოთლის ხარისხს.

მიმდინარე წელს კოლმეურნეებმა ჭანიეთში საკუთარი საშუალებებით მოაწყეს ჩაის პუნქტისათვის შესაფერი შენობა, მიიყვანეს აღნიშნული შენობამდე საავტომობილო გზა. „საქართველოს ჩაის“ ტრესტმა უნდა დააკმაყოფილოს კოლმეურნეთა კანონიერი მოთხოვნა და კვლავ გახსნას ჩაის მიმღები პუნქტი.

**ვ. ჯაყელი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა და ჩვენი ამოცანები

საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო ძალების გეგმაშეწონილ გამოყენებას ფართო გასაქანი მისცა. საკოლმეურნეო წყობილების ბრწყინვალე გამარჯვებამ შექმნა ყველა პირობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად, ბუნებრივი სიმდიდრის გამოსაყენებლად, გვალვის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის.

ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1924 წელს აღნიშნავდა: „ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვიყენოთ გლეხობის გამახვილებული მზადყოფნა — გააკეთოს ყოველივე შესაძლებელი იმისათვის, რომ **მომავალში** თავი დაიზღვიოს გვალვის შემთხვევითობისაგან, და ჩვენ შევეცდებით ყოველნაირად გამოვიყენოთ ეს მზადყოფნა იმ მიზნით, რომ გავატაროთ (გლეხობასთან ერთად) გადამწყვეტი ზომები მელიორაციის, მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესებისა და სხვა დარგში“. (ი. სტალინი, თხზ., ტ. VI, გვ. 314).

რევოლუციამდელ რუსეთში გვალვას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. ცენტრალური და შუა აზიის სივრცეებიდან პერიოდულად შემოჭრილი ცხელი ჰაერის მასები—ქარსიცხე და შავი ბუღი, ატმოსფერული ნალექების სიმცირის პირობებში, იწვევდა ნიადაგის დასკდომას, ყოველგვარი მცენარის გადახრუკვას. ამას მოჰყვებოდა შინაური პირუტყვის მასობრივი განადგურება და მილიონობით გლეხური მოსახლეობის შიმშილით ამოხოცვა.

ჯერ კიდევ საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე დაისახა ვრცელი ღონისძიებანი საბჭოთა მოწინავე აგრონომიული მეცნიერების უახლესი მიღწევების ფართოდ დანერგვისა და განვითარების დარგში, ხოლო ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლიან გეგმაში ამ საქმეს განსაკუთრებით დიდი ადგილი დაეთმო.

ორი მიმართულებით ვითარდებოდა მუშაობა საბჭოთა ბიოლოგიისა და მასთან დაკავშირებით ჩვენი სოციალისტური მეურნეობის თეორიასა და პრაქტიკაში:

პირველი — მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის საფუძველზე მცენარეული და ცხოველის ორგანიზმების გარდაქმნა სამეურნეო თვალსაზრისით მათი სასარგებლო თვისებების განუხრელად გაუმჯობესებისათვის (მრავალნაყოფიერება, მსხვილნაყოფიანობა, ნამრავლში ფერის ნებისმიერი ცვლა და თვით სქესის რეგულირების საშუალების ძიებაც კი) სათანადო მეთოდების გამოყენების საფუძველზე. ამის მიღწევა ხდება მიჩურინული სასელექციო-ჰიბრიდიზაციული მუშაობით. მუშაობის ეს გეზი ბრწყინვალედ განავითარეს აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთაურობით საბჭოთა ბიოლოგებმა;

მეორე — ცოცხალი ორგანიზმების საარსებო პირობების — ბუნებრივი გარემოს — ნიადაგისა და ჰავის გარდაქმნა-გაუმჯობესება დოკუჩაევ-კოსტიჩევ-ვილიამსის კომპლექსის ბაზაზე.

ორივე ეს პროცესი ჩვენში ერთდროულად მიმდინარეობს. ამან თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებაში „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ნარგავების გაშენების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის და გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის შესახებ“.

საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს ბუნების გარდაქმნის ამ სტალინურ გეგმას. 1948-1949 წლებში დათესილ და დარგულ იქნა 590 ათასი ჰექტარი მინდორსაცავი ტყის ნარგავი. მომავალი დარგვისათვის მომზადებულია 800 ათასი ჰექტარი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სათანადო ინტენსივობით მუშაობენ ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმიდან გამომდინარე სათანადო კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საქართველოს პირობების შესაბამისად.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივ-ოროგრაფიული, ტოპოგრაფიული, ნიადაგისა და კლიმატური პირობების გამო საჭიროა განხორციელდეს სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყეველიანი რაიონებისათვის სტალინური გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი ზოგიერთი დამატებითი ღონისძიებით (ეროზიის, ხევწარმოქმნის და წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლა, ნაპირების გამაგრება, მიწების ამოშრობა, ირიგაცია და სხვ.).

მთავარი და მცირე კავკასიონისა და მათი განშტოებებით წარმოქმნილ საქართველოს მთავარ ვაკეებსა და ზეგნებზე თუ ხეობებში ბუნებრივ-საწარმოო პირობები საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან. სათანადო ღონისძიებათა კომპლექსი ორ მთავარ სახეთა და ჯგუფად გაიყოფა: ღონისძიებანი დასავლეთ და ღონისძიებანი აღმოსავლეთ საქართველოში. თუ დასავლეთ საქართველოში მინდორსაცავი ტყის ზოლები ერთიან მასივად განლაგდება ძირითადად კოლხეთის დაბლობზე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იგი სამ ჯგუფად განაწილდება (კახეთის, ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის ჯგუფები).

მთავარი და მცირე კავკასიონის და მათი განშტოებების სისტემა საქართველოს მთელ რიგ ნაწილებს იცავს სხვადასხვა ბუნებრივ მოვლენათა მკვეთრი ცვალებადობის მავნე გავლენისაგან. მაგრამ ეს ბუნებრივი დაცვა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ადგილებში ვერ ვრცელდება. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან — დასავლეთის მხრიდან შავ ზღვაზე გამოვლით და აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვის გადმოლახვით და აზერბაიჯანის ველებზე გამოვლით, ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრება ხოლმე ერთი მხრივ პოლარულ-არქტიკული ჰაერის დიდი ცივი მასები, ხოლო მეორე მხრივ კონტინენტური ცხელი ჰაერის დიდი მასები. ჰაერის ეს ციკლონური დიდი მასები მიწის ზედაპირთან გამოვლისას, როცა წააწყდებიან ბუნებრივი მთაგორებისა და წყალგამყოფთა წინააღმდეგობას, ნაწილებად იქსაქსებიან, შესუსტებულ მასებად მიაწყდებიან დაბლობებს და მდინარეთა ხეობებით ღრმად იჭრებიან ცოტად თუ ბევრად მაღალ ზონებშიც. ისინი იწვევენ ტემპერატურის მკვეთრ დაცემას (პერიოდული დიდი ყინვები) და ყინავენ ნარგავებს, ან გამუდმებული ხანგრძლივი ქროლვით აშრობენ ნიადაგს, ამცირებენ შეფარდებითს ტენიანობას, აღუნებენ ვეგეტაციას, აჭკნობენ მცენარეს, ყვავილობისას აზიანებენ გვირგვინის ფურცლებს, ბუტკოს მტვრიანებს და შეუძლებელს ხდიან ნაყოფის გამონასკვას, მოწეულ ნაყოფს ბერტყავენ და ნაქარის სახით აუფასურებენ მას. ძლიერ ქარებს მექანიკური ზიანიც მოაქვთ მცენარისათვის.

განსაკუთრებით მკვეთრი და ზარალის მომყენებელია ეს მოვლენები ხევებს შორისი დერეფნებისა და ალაზნის, იორის, მტკვრის, რიონისა და მათი შენაკადების დიდ თუ პატარა ხეობებში, აგრეთვე თბილისის ირგვლივ, გარე კახეთში (სამგორ-ივრის-გარდაბნის ველი), ქვემო ქართლში—მარნეულის, ბოლნისის და დმანისის რაიონებში, შიდა ქართლში—მუხრან-ხაშურის რაიონებში და ზემო ქართლში—მესხეთ-ჯავახეთის ზეგნებზე.

დასავლეთ საქართველოს უძვირფასესი ნაწილი — კოლხეთის დაბლობი მუდმივი ობიექტია ძლიერი და სუსხიანი ზენა და უფრო დაქინებული ქვენა ნელთბილი ქარის, ე. წ. ფიონების ძლიერ მავნე გავლენისა.

სწორედ მოხსენებულ გარემოებათა გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანეს დადგენილება „ევკალიპტის კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. შავი ზღვიდან მოყოლებული კოლხეთის დაბლობსა და საერთოდ ვაკე ნაწილზე, სადაც უდიდესი სამელიორაციო სამუშაოები სრულდება, გეგმაზომიერად განლაგდება თერთმეტი სახელმწიფო მინდორსაცავი ზოლი თვითეული 100-120 მეტრი სიგანისა და 700-მდე კილომეტრი სიგრძისა და დაიჭერს დაახლოებით 7.000 ჰექტარ მიწას. ამჟამად უკვე მიმდინარეობს უპირატესად ევკალიპტის ნარგავთა მინდორდამცველი ტყის ზოლების მშენებლობა. ქუთაისის, ცხაკაიას და ფოთის ტყედამცველი სადგურები, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო ტექნიკური ბაზით, უკვე აწარმოებენ დამცველი ნარგავების ძირითად ტრასებზე პრაქტიკულ მუშაობას.

აღმოსავლეთ საქართველოს უფრო მკვეთრი კონტინენტური ჰავისა და დანაკვეთული რელიეფის პირობებშიც აუცილებელია ბუნების გარდაქმნის რთული კომპლექსის გატარება. ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს აღმოსავლეთ საქართველოში ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის მიხედვით, ჯერ კიდევ დამუშავების სტადიაშია. წინასწარი პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში 10 წლის განმავლობაში გაშენდეს 23 სახელმწიფო ტყის ზოლი, რომელიც განაწილდება სამ ჯგუფად—კახეთის, ქართლის და მესხეთ-ჯავახეთის ჯგუფებად.

პირველი ჯგუფის ცხრა ზოლი სიგანით 100 მეტრი განლაგდება რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა ნაწილში. მათი დანიშნულებაა გზა გადაუჭრან კასპიის ზღვის იქითა მხრიდან დაძრულ ქარსიცხეს და ზამთრის სუსხიან ქარებს კახეთისა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე.

მეორე ჯგუფის ცხრა ზოლი სიგანით 50 მეტრი განლაგდება შიდა ქართლის ტერიტორიაზე.

სახელმწიფო დამცველი ზოლების მესამე ჯგუფი განლაგდება სამხრეთ საქართველოში მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში და მასში შევა ხუთი ზოლი სიგანით 100 მეტრი თითოეული.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფო ტყის ზოლს შიდა კახეთში, მდინარე ალაზნის გასწვრივ, რომლის სიგანე 200 მეტრი და სიგრძე 158 კილომეტრი იქნება და დაიკავებს 3.260 ჰექტარ ფართობს. მისი მთავარი ამოცანაა მდინარე ალაზნის ნაპირების გამაგრება და ძვირფასი ტყეების აღდგენა.

დამცველი ტყის გაშენებას თვით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს. ეს საქმე შიდასაკოლმეურნეო გაღრმავებულ მიწათმოწყობას უნდა დაუკავშირდეს. ამ საქმის დიდი მნიშვნელობა იქიდან ჩანს, რომ 1950-1960 წლების მანძილზე ამ ტიპის ნარგავებმა უნდა დაიჭირონ დაახლოებით 30.000 ჰექტარი მიწა, რასაც დასჭირდება რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის დაბანდება.

საქართველოში აგეთივე დიდი ღონისძიებანი გატარდება მელიორაციისა და ირიგაციის დარგში.

სულ უფრო მეტი მასშტაბით ჩაღდება მუშაობა საქართველოს ბუნების გარდაქმნის გეგმის დამუშავებისა და განხორციელების დარგში. ეს მუშაობა პირდაპირ გამომდინარეობს სტალინის გენიით შთაგონებული ბუნების გარდაქმნის ერთიანი გეგმიდან, რომელიც უკვე ხორციელდება და რომლის მსგავსი დღემდე უცნობი და მიუწვდომელი იყო კაცობრიობისათვის.

**პროფესორი ნ. იაშვილი**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

## ჩეხოსლოვაკიაში გამოვიდა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი

**პრაღა**, 4 მაისი. (საქდესი). გამომცემლობა „სვობოდამ" ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 80 წლისთავისათვის გამოსაცემად მოამზადა ჩეხურ ენაზე თარგმნილ ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ორი ტომი. პირველ ტომში, რომელიც უკვე დაიბეჭდა, შედის ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი: „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?", „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში", „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" და სხვები.

## ა. ზავადსკი პოლონეთის მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარედ დაინიშნა

**ვარშავა**, 4 მაისი. (საქდესი). როგორც პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო გადმოგვცემს, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბერუტმა პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ზავადსკი დანიშნა მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარედ.

## მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა პოლონეთში

**ვარშავა**, 4 მაისი. (საქდესი). როგორც პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო გადმოგვცემს, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდება მხურვალე გამოხმაურებას პოულობს პოლონეთის საზოგადოებრიობის ფართო მასებში.

პოლონეთის ყველა ქალაქსა და სოფელში არსდება მშვიდობის მომხრეთა ასობით ახალი კომიტეტი. მაგალითად, კრაკოვის სავოევოდოში შეიქმნა მშვიდობის მომხრეთა 2.000-ზე მეტი საქალაქო, სათემო და სასკოლო კომიტეტი, აგრეთვე რამდენიმე ასი საქარხნო კომიტეტი.

ქეშუვის სავოევოდოში მოქმედებს მშვიდობის მომხრეთა 1.165 სათემო და სავოლოსტო კომიტეტი, აგრეთვე 50 კომიტეტი სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებში და 926 კომიტეტი სკოლებში. კელცის სავოევოდოში მშვიდობის მომხრეთა სათემო და სავოლოსტო კომიტეტების საარჩევნო კრებებში მონაწილეობა იღებდა 40.000-ზე მეტი კაცი, რომლებმაც სრული სოლიდარობა გამოუცხადეს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებას.

მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის შექმნის კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მასწავლებლები, სოფლის აქტივისტები, აგრეთვე მღვდლები.

წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი გამგეობის მუშაკებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც სრულ სოლიდარობას უცხადებენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის გადაწყვეტილებებს.

## მშვიდობისათვის მოძრაობა ბულგარეთში

**სოფია**, 4 მაისი. (საქდესი). ბულგარეთში მთავრდება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვება. 1 მაისისათვის არსებული ცნობებით, უკვე შეგროვდა 5.429.719 ხელმოწერა.

## ტელეპრესის სააგენტო იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღორძინების შესახებ

**პრაღა**, 4 მაისი. (საქდესი). ტელეპრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ იაპონიის მთავრობამ დაიწყო 2 ათასი მეზღვაურის შეგროვება იმ 27 სამხედრო გემზე სამსახურისათვის, რომლებიც იაპონიას შეერთებულმა შტატებმა გადასცეს. უპირატესობა ეძლევა იმათ, ვისაც უკვე უმსახურნია იაპონიის ფლოტში.

ეს 2 ათასი მეზღვაური შეადგენს ამერიკა-იაპონიის ახალი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბირთვს და შევა იაპონიის იმ ახალი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, რომლებსაც გენერალ მაკარტურის შტაბი ქმნის.

## გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ემზადებიან განთავისუფლების დღის დღესასწაულისათვის

**ბერლინი**, 4 მაისი. (საქდესი) როგორც ვიუწყებოდით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა სახალხო პალატამ დააკმაყოფილა მოსახლეობის სურვილი და მიიღო კანონი იმის შესახებ, რომ ყოველ წელს 8 მაისს მოეწყოს განთავისუფლების დღესასწაული.

მოახლოებულ დღესასწაულთან დაკავშირებით რესპუბლიკის ყველა მხარეში ინტენსიური მზადებაა.

ყველა დასახლებულ პუნქტში მოეწყობა დღესასწაული და გვირგვინებით შეამკობენ ომში დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავებს.

„8 მაისის დღეს დაამტკიცეთ თქვენი მეგობრული გრძნობები საბჭოთა ხალხისადმი და თქვენი მზადყოფნა — იბრძოლოთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის", — ნათქვამია ბრანდენბურგის მხარის მთავრობის მოწოდებაში მოსახლეობისადმი.

მომავალი დღესასწაულისათვის დიდ მზადებას ეწევა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება, რომელსაც ახლა 1 მილიონზე მეტი წევრი ჰყავს. საზოგადოების გამგეობის გუშინდელ სხდომაზე შემუშავებულ იქნა იმ საზეიმო ალთქმის ტექსტი, რომელსაც რეზოლუციის სახით კენჭს უყრიან განთავისუფლების დღის გამო საზოგადოების მიერ გამართულ ყველა მიტინგსა და კრებაზე.

ამ საზეიმო ალთქმაში ნათქვამია:

„გვახსოვს რა უდიდესი ზარალი, რომელიც ჰიტლერელი ფაშისტების მიერ გაჩაღებულმა ომმა მიაყენა ხალხებს, განსაკუთრებით გერმანელ ხალხსა და საბჭოთა კავშირის ხალხებს, და მადლობას ვუძღვნით რა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს საბჭოთა არმიის მიერ 5 წლის წინათ ფაშიზმისაგან ჩვენი ხალხის განთავისუფლებისათვის, ჩვენ ვიძლევით შემდეგ საზეიმო ალთქმას:

ზეიმით აღვთქვამთ — ულმობლად ვიბრძოლოთ და ვამხილოთ ომის როგორც ინგლისელ-ამერიკელი და ფრანგი გამჩაღებლები, ისე მათი აგენტები ბონსა და დასავლეთ ბერლინში.

ზეიმით აღვთქვამთ — დაუღალავად მოვითხოვოთ ატომური ბომბის აკრძალვა და სამხედრო დამნაშავედ მივიჩნიოთ ის მთავრობა, რომელიც გაბედავს პირველმა იხმაროს ატომური ბომბი.

ზეიმით აღვთქვამთ — არასოდეს არ დავუშვათ, რომ გერმანელთა მიწა-წყლიდან კვლავ წარმოებდეს აგრესიული ომი მეზობელი ხალხების წინააღმდეგ, და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და ხალხის მტრად გამოვაცხადოთ ყოველი კაცი, ვინც პროპაგანდას ეწევა ასეთი ომის გასაჩაღებლად.

ზეიმით აღვთქვამთ — უფრო მტკიცედ მოვითხოვოთ გერმანიის ერთიანობა, საოკუპაციო ჯარების გაყვანა და მთელი გერმანიის მთავრობის შექმნა იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც ამ საკითხზე საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა, და მონაწილეობა მივიღოთ დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ყველა ღონისძიებაში.

ზეიმით აღვთქვამთ — ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებით ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მუდამ მტკიცდებოდეს მეგობრობა საბჭოთა კავშირთან და რომ ჩვენი საყვარელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, იმყოფება რა სოციალისტური საბჭოთა კავშირის მხარეზე, აყვავდეს და განვითარდეს მთელი გერმანელი ხალხის საკეთილდღეოდ, ევროპაში ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების სასარგებლოდ".

## გერმანიის დასავლეთი საოკუპაციო ზონების ხელისუფალნი მფარველობენ კონტრაბანდისტებსა და სპეკულანტებს

**ბერლინი**, 5 მაისი. (საქდესი). ადნის სააგენტო აღნიშნავს, რომ ბერლინის მოსახლეობა აღშფოთებულია დასავლეთელ საოკუპაციო ხელისუფალთა მოქმედებით, რომლებიც რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდვის მათთვის მინიჭებულ უფლებას იყენებენ ბერლინიდან მატერიალურ ფასეულობათა უკონტროლოდ გატანისათვის.

მაგალითად, აპრილში ბერლინიდან იწყეს უფრო მეტი საქონლის გატანა, ვიდრე ბერლინში შემოჰქონდათ. აპრილის პირველ სამ კვირაში შემოტანილია 2.560 ტონა, ხოლო გატანილია 2.960 ტონა.

ბერლინიდან გააქვთ უმთავრესად მანქანები, ლითონის ჯართი, განსაკუთრებით ფერადი ლითონები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პოლიციამ დააკავა ათობით სპეკულანტი და ქურდი, რომლებიც ყიდულობდნენ ან იპარავდნენ ფერად ლითონებს რესპუბლიკის საწარმოებში და ბერლინის აღმოსავლეთ სექტორის ტერიტორიაზე. გამორკვეულია, რომ დამნაშავენი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოპარულ და ნაყიდ ლითონს ასაღებდნენ დასავლეთ ბერლინის ფირმებში, რომლებიც დასავლეთელ ხელისუფალთა სამხედრო მატარებლებს იყენებდნენ დასავლეთ ზონებში ამ ლითონის გასატანად. მარტო 1950 წლის პირველ კვარტალში ამ გზით ბერლინიდან გატანილ იქნა ფერადი და შავი ლითონების 350 ვაგონი ჯართი. თავაშვებული სპეკულანტები დასავლეთის ოფიციალური ორგანოების წაყრუებით იქამდე მივიდნენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან დასავლეთ ზონებში ბერლინზე გავლით სამხედრო მატარებლებით სურსათის გატანაც კი იწყეს. მაგალითად, 20 აპრილს ინგლისის სამხედრო ხელისუფალთა № 5096 საფოსტო მატარებლით გატანილ იქნა ორი ვაგონი ახალი ხორცი. ამ მატარებლითვე გაიგზავნა ერთი ვაგონი მარგარინი, 2 ვაგონი ნამცხვარი, სამი ვაგონი ლობიო და სხვა პროდუქტები. ბერლინი სასოფლო-სამეურნეო რაიონი როდია, და ზემოაღნიშნული პროდუქტები, უეჭველია, კონტრაბანდული გზით გააქვთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

ამ დღეებში მიღებული კანონი რესპუბლიკის ვაჭრობის დაცვის შესახებ თავიდან აგვაცილებს ასეთ სპეკულანტურ მაქინაციებს, რომლებიც მიმართულია რესპუბლიკის ეკონომიკისათვის ძირის გამოთხრისაკენ.

## ამერიკელთა სამხედრო ხროვის ხრიკები ირანში

**სტამბოლი**, 4 მაისი. (საქდესი). ამერიკის მიერ ირანისათვის „სამხედრო დახმარების" განხორციელებასთან დაკავშირებით ამერიკელი სამხედრო პირები ირანში, როგორც თეირანის გაზეთი „ჰოკუმათე მილი" აცხადებს, ისე იქცევიან, როგორც ბატონები.

ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ ამერიკელ ოფიცერთა საქმიანობა განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის მომიჯნავე რაიონებში. ამ რაიონებში და უმთავრესად ირანის აზერბაიჯანის სასაზღვრო რაიონებში, ხორასნისა და გორგანის პროვინციებში გახშირდა ამერიკის შეერთებული შტატების მრავალი სამხედრო წარმომადგენლის მოგზაურობა. ამერიკელი ოფიცრები აქ ეწევიან სასაზღვრო ზოლის ტოპოგრაფიულ გადაღებას, იღებენ ობიექტების ფოტოსურათებს საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარზე, იკვლევენ გზების მდგომარეობას და იმ ადგილებს, რომლებიც ვარგისია აეროდრომების ასაგებად. მთელ რიგ სასაზღვრო ქალაქებში ამერიკელი ოფიცრები ირჩევენ ადგილებს ირანში ჩამოსულ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა მოსათავსებლად. კასპიის ზღვაზე ისინი იკვლევენ ნავსადგურებსა და ნაპირის ახლოს მდებარე კუნძულებს, აგრეთვე ზომავენ ზღვის სიღრმეს. ეს მგზავრობა დაკავშირებულია აგრეთვე ირანის არმიის იმ ნაწილების ინსპექტირებასა და სწავლებასთან, რომლებიც საზღვარზე არიან განლაგებულნი. ამის გამო თეირანის გაზეთი „ჰოკუმათე მილი" ხაზგასმით აღნიშნავს ამ „დაუპატიჟებელი სტუმრების" უკანონო მოქმედებას, როგორც იგი ამერიკელ ოფიცრებსეძახის. რომლებმაც „არავინ იცის რა კანონით და დადგენილებათა საფუძველზე შეაღწიეს ყველა სამინისტროში და სამხედრო სამინისტროშიც კი".

## ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა პაკისტანის პრემიერ-მინისტრი

**ნიუ-იორკი**, 3 მაისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრუმენის პირადი თვითმფრინავით ჩამოვიდა პაკისტანის პრემიერ-მინისტრი ლიაქათ ალი-ხანი.

## თურქი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის დასაცავად

**ნიუ-იორკი**, 3 მაისი. (საქდესი). ამ დღეებში ამერიკის პროგრესულმა ორგანიზაციამ „სამოქალაქო უფლებათა დაცვის კონგრესმა" სსრ კავშირის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიაში მიმართა წერილობითი თხოვნით მიიღოს ზომები თურქეთის დიდი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის დასაცავად, რომელიც თურქეთის რეაქციამ საპატიმროში ჩასვა თორმეტი წლის წინათ.

როგორც ცნობილია, ნაზიმ ჰიქმეთს, რომელიც მუდამ მკაცრ დევნას განიცდიდა თურქეთის ხელისუფალთა მხრივ თავისი პროგრესული შეხედულებისათვის, 1938 წელს 28 წლის პატიმრობა მიესაჯა იმ ბრალდების გამო, რომ მისი პოეზია კომუნისტურ იდეებს შეიცავს.

ამერიკის „სამოქალაქო უფლებათა დაცვის კონგრესის" წერილში აღნიშნულია, რომ ამჟამად ნაზიმ ჰიქმეთმა შიმშილობა გამოაცხადა, რათა მიაღწიოს საპატიმროდან განთავისუფლებას. წერილში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ჰიქმეთის პოემები „იცავდნენ ხალხის ფართო მასების ინტერესებს, და ყველა მოწინავე ადამიანისათვის ცხადია, რომ ამ კაცის დაპატიმრება დარღვევაა სიტყვის თავისუფლებისა, როგორც იგი ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში".

„თუ შეიძლება — ნათქვამია შემდეგ წერილში, — სახალხო პოეტი საპატიმროში ჩასვან და დაუშვან მისი სიკვდილი საკუთარი იდეებისათვის, რომლებიც მან თავისი პოეზიით გამოხატა, ნუთუ ეს ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას არ წარმოადგენს?"

„სამოქალაქო უფლებათა დაცვის კონგრესი" თხოულობს დაისვას ეს საკითხი ადამიანის უფლებათა კომისიაში და მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნონ ნაზიმ ჰიქმეთს — დემოკრატიის დიდ პოეტს".

## ნაზიმ ჰიქმეთი შიმშილობას განაგრძობს

**სტამბოლი**, 4 მაისი. (საქდესი). გაზეთ „ჯუმჰურიეთის" კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, რომ ცნობილმა თურქმა პოეტმა ნაზიმ ჰიქმეთმა თავის ადვოკატს გადასცა წერილი, რომელშიც აცხადებს, რომ შიმშილობას განაგრძობს ან სიკვდილამდე, ან სანამ კანონიერად არ გაანთავისუფლებენ საპატიმროდან, რომელშიც იგი 12 წლის განმავლობაში იმყოფება.

## საბერძნეთში მოსწავლეები გაფიცვებს აწყობენ სწავლის ქირის გადიდების წინააღმდეგ

**ათენი**, 5 მაისი. (საქდესი). ვენიზელოსის მთავრობის დროს მიღებულ იქნა დადგენილება გიმნაზიებში სწავლის ქირის გადიდების შესახებ. ამ დადგენილების განსახორციელებლად ამას წინათ გამოცხადდა, რომ 1 ივნისამდე ყველა მოსწავლემ, ჩვეულებრივი ქირის გარდა, 220 ათასი დრაჰმი უნდა შეიტანოს. ამან მოსწავლეთა პროტესტი და გაფიცვა გამოიწვია მთელ საბერძნეთში. ფალერონის მე-7 გიმნაზიის მოსწავლეებმა საბერძნეთის საშუალო სკოლების ყველა მოსწავლეს მოუწოდეს გამოაცხადონ საყოველთაო ხანგრძლივი საპროტესტო გაფიცვა.

**ათენი**, 5 მაისი. (საქდესი). მოსწავლეთა გაფიცვა მოედო დედაქალაქის თითქმის ყველა გიმნაზიას. გუშინ 200-ზე მეტი გიმნაზიელი შეიკრიბა განათლების სამინისტროსთან და ყვიროდა: „ჩვენ ფული არა გვაქვსო". ვაჟთა პირველი და მეცხრე გიმნაზიის მოსწავლეები გარეკა პოლიციამ, რომელმაც დააპატიმრა ექვსი გიმნაზიელი. ბევრს ხელკეტით სცემეს.

## საფრანგეთის დოკერები უარს ამბობენ ჩატვირთონ იარაღი ინდო-ჩინეთისათვის

**პარიზი**, 4 მაისი. (საქდესი). გაზეთ „სე სუარის" ცნობით, სატვირთო გემი „მორტანი", რომელიც ინგლისიდან ინდო-ჩინეთისაკენ გაემგზავრა, ჩავიდა საფრანგეთის ნავსადგურ ლაპალისში, რათა იარაღი მიეღო. მაგრამ ნავსადგურში უკლებლივ ყველა დოკერმა კატეგორიული უარი განაცხადა გემის დატვირთვაზე.

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

**ბუდაპეშტი**, 4 მაისი. (საქდესი). დღეს ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირზე მე-12 მორიგი ტური გაიმართა.

დღევანდელი ტურის ცენტრალური პარტიები იყო სმისლოვ-შტალბერგისა და კერეს-საბოს შეხვედრა.

ეს პარტიები, რომლებიც დაძაბული ბრძოლით მიმდინარეობდა, დაუმთავრებელი დარჩა. სმისლოვს ოთხეტლიან ენდშპილში ზედმეტი პაიკი ჰყავს და მოგების შანსი აქვს.

საბო-კერესის პარტია გადაიდო მწვავე პოზიციაში, უპირატესობა აქვს კერესს.

გადაიდო აგრეთვე ფლორ-ლილიენტალის პარტია, უპირატესობა ფლორს აქვს.

დღევანდელი ტურის ორი პარტია ყაიმით დამთავრდა. მეთხუთმეტე სვლაზევე რამდენიმე ფიგურის გაცვლის შემდეგ დათანხმდნენ ყაიმზე კოტოვი და ბრონშტეინი. ასევე მშვიდობიანად დამთავრდა ბოლესლავსკი-ნაიდორფის შეხვედრა.

ხვალ ტურნირზე გათამაშდება მე-11 და მე-12 ტურის დაუმთავრებელი პარტიები.

## დამთავრდა კოლმეურნეთა მეორე საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

**კიევი**, 4 მაისი. (საქდესი). დღეს გათამაშებულ იქნა ჩემპიონატის უკანასკნელი პარტიები და ამით დამთავრდა ტურნირი. პირველი ადგილი და სსრ კავშირის კოლმეურნე მოჭადრაკეთა ჩემპიონის წოდება მოიპოვა კიევის ოლქის დიმერის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მებაღემ ვიქტორ მეზენცევმა.

მეორე და მესამე ადგილი ტურნირში მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეთა ჩემპიონმა გრიგოლ ჟურავლიოვმა—კალინინის ოლქის კამენსკის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დამკვრელის" მოანგარიშემ და ვალდურ ტიიტმა—ესტონეთის სსრ არტელ „იუხისიბუდის" კოლმეურნემ. მეოთხე და მეხუთე ადგილი დაიკავეს იშანხან აკბაროვმა (ყირგიზეთის სსრ ოშის ოლქის კოლმეურნეობა „პრავდა") და მიხეილ ურუიმაგოვმა (ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ კოლმეურნეობა „პარტიზანი").

საღამოს საზეიმო ვითარებაში ჩემპიონატი დაიხურა.

## სასპორტო დარბაზი კოლმეურნეობაში

**წითელწყარო**. (საქ. კორ.). სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა მოაწყეს საკოლმეურნეო სასპორტო დარბაზი. ახლახან შეიძინეს ორძელი, ძელძ, ტაიჭი და ტანსაცმელი ფრენბურთის, ფეხბურთისა და ქართული ჭიდაობისათვის. ნაყოფიერად მიმდინარეობს წვრთნა ფეხბურთელებისა და მოჭიდავეთა გუნდებისა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სარაიონო შეჯიბრებებში.

## მოაწყეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

**ბოლნისი**. (სპეც. კორ.). მოეწყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც მოემსახურება აგრეთვე მარნეულის, თეთრი წყაროსა და დმანისის რაიონებს. მშენებლობა 200 ათას მანეთამდე დაჯდა. მიმდინარეობს რაიონებისათვის დამახასიათებელი ექსპონატების შეგროვება, მათ შორის მეოთხე საუკუნის ქართული ძეგლების, ძვირფასი ქვების, ლითონების, საშენი მასალების შეგროვება.

## „ყუბანელი კაზაკები" ქართულ ენაზე

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის სადუბლიაჟო სექტორმა დაიწყო სტალინური პრემიის ლაურეატის ი. პირიევის მიერ დადგმული ცნობილი ფილმის — „ყუბანელი კაზაკების" ქართულად გახმოვანება.

როლებს ქართულად ახმოვანებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ლაფაჩი, მსახიობები ე. მანჯგალაძე, ტ. ბარამიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. აფხაიძე, მსახიობები დ. წეროძე, ა. დადიანი, ი. ტრიპოლსკი და სხვ.

ფილმის ქართული ვარიანტის რეჟისორია ზ. ბერიშვილი, ხმის ჩამწერი ოპერატორი—რ. კეზელი, ტექსტის თარგმანი ეკუთვნის პ. წერეთელს.

## დაიწყო საკურორტო სეზონი

მომზადებული ხვდებიან საკურორტო სეზონის გახსნას საქართველოს კურორტები: ტებერდა, ბორჯომი, აბასთუმანი, შოვი, მენჯი, საირმე, ახტალა, ბახმარო, დარიალი, წყალტუბო და სხვები. პირველი მაისიდან გაიხსნა სეზონი ტებერდაში, ბორჯომსა და აბასთუმანში. პირველი ივნისიდან სეზონი დაიწყება შოვში, ახტალაში, საირმეში, ბახმაროსა და დარიალში.

დიდი სამზადისია აგრეთვე ბავშვთა სპეციალურ სანატორიუმებში: ჯავაში, სურამში, ბაკურიანში, აბასთუმანში, მანგლისში, ახტალასა და ქობულეთში. დედათა და ბავშვთა სანატორიუმებია მახინჯაურსა და შოვში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარ სამმართველოს 14.500.000 მანეთი აქვს გამოყოფილი კურორტების რემონტისათვის.

## მაღაროელები სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში

**ჭიათურა**. (საქ. კორ.). მაღაროელები ისვენებენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე. მიმდინარე წელს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მუშათა დასვენებისათვის 334.200 მანეთი დაიხარჯება. მაღაროელები დაისვენებენ წყალტუბოში, ბორჯომში წაღვერში, ქობულეთში, კისლოვოდსკში, აფხაზეთისა და ყირიმის კურორტებზე. წელს რამდენიმე ათეული მუშა უკვე იყო დასასვენებლად.

## ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები ლეჩხუმის შესახებ

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა მიხეილ ალავიძემ დაწერა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები ლეჩხუმის შესახებ. შრომაში „ცხოვრება გიორგი ინასარიძისა" დადგენილია ე. წ. „საინასარიძოს" ადგილსამყოფელი და ფარგლები (რიონის ხეობა) და გიორგი ინასარიძის ვინაობა.

„მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის" ლეჩხუმელთა ყოფაცხოვრების სხვადასხვა მხარესა და გარდასულ ზნე-ჩვეულებებს ასახავს.

აღწერილობა მდიდარ ლექსიკურ მასალას შეიცავს. მასში განმარტებულია 600-ზე მეტი დიალექტური სიტყვა.

ნარკვევები მოთავსებულია პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომების" IX ტომში და გამოცემულია ცალკე ამონაბეჭდადაც.

## სასამართლო ქრონიკა

თევზჭერის წესების დარღვევისათვის მარნეულის რაიონის შაუმიანის უბნის სახალხო სასამართლომ ექვს-ექვსი თვის იძულებითი მუშაობა მიუსაჯა ა. ბ. შლეპჩიანს, ნ. ა. ოგანოვს, ა. მ. როსტევანოვს, ა. ა. კოვალოვსა და ს. ა. ჩალიანს.

## კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

დღეს, 6 მაისს, საღამოს 8 საათზე, შედგება კონსულტაცია თემაზე: „რსდმ პარტიის VII (აპრილის) კონფერენცია და მისი ისტორიული მნიშვნელობა". კონსულტანტები: ამხ. მ. იაროვა და ვ. კალაძე.

## თეატრებში

**6 მაისს**: ოპერისა და ბალეტის—„დაუპატიჟებელი სტუმრები"; მარჯანიშვილის სახელობის—„ურიელ აკოსტა"; გრიბოედოვის სახელობის—„ლიკურგის კანონი" (მე-8 აბ. მე-5 სპექტაკლი); სომხური დრამის—„ალასი"; მუსიკალური კომედიის—„არსენა ოძელაშვილი"; მოზარდ მაყურებელთა რუსული—„შინ დაბრუნება მინდა" (94 აბ. 3 ს. 75 აბ. 7 ს.).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი


1950 წლის 13 მაისიდან მუშაობას იწყებს **სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასასვენებელი სახლი** (სანატორიული ტიპისა) **ციხისძირში**.

ორგანიზაციებს შეუძლიათ მუშა-მოსამსახურეებისათვის შეიძინონ საგზურები ღირებულების გადმორიცხვით.

დაწვრილებითი პირობებისათვის უნდა მიმართონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილს, მარის ქ. № 1, ტელეფონი 3-32-48 და 3-16-08.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს ელექტროტექნიკის, თბოტექნიკის, მაღალი სიხშირის დენების და ავტომატიკის განყოფილების გამგეთა თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც ძირითადად იმუშავებენ ინსტიტუტში.

განცხადებას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა დაერთოს (ორ-ორ ცალად) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების და სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომების ნოტარიალურად შემოწმებული ასლები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, მეცნიერული შრომების სია და მთავარი მეცნიერული შრომები (თითო ცალად).

კონკურსის ვადაა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან. განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექციაში, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8.

**საქართველოს კომუნალური ბანკი** აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომელთაც კრედიტი მიიღეს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისა და მშრომელთა პირად საკუთრებაში მყოფი სახლების კაპიტალური შეკეთებისათვის, რომ მიღებული სესხის ვადაგადაცილებული დავალიანება დაუყოვნებლივ უნდა დაიფაროს, აგრეთვე შემოტანილ იქნას 1950 წლის **მეორე კვარტალის სავალო გადასახადი 15 ივნისამდე**. სავალო სესხის დაფარვის გაადვილების მიზნით მსესხებლებს შეუძლიათ თანხა ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ.

**მსესხებლებო!** გახსოვდეთ, რომ კვარტალურად გადასახდელი თანხის დროულად გადაუხდელობა გამოიწვევს ამ თანხის იძულებითი წესით გადახდევინებას მასზე წლიური 4%-ის დარიცხვით და სასამართლოს ხარჯების დაკისრებით.

თანხას მიიღებენ: ქალაქ თბილისში — საქართველოს კომუნალური ბანკი, ქალაქ ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში — საქართველოს კომუნალური ბანკის განყოფილებანი და დანარჩენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში სახელმწიფო ბანკის განყოფილებანი.

მოქალაქე **ვანდა სიმონის ასულმა ქელბაქიანმა**, მცხოვრებმა ბარათაშვილის ქ. № 10, აღძრა საქმე ხანძრის ქ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე **ვასილ კონსტანტინეს-ძე ქელბაქიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვლადიმერ გერასიმეს-ძე ჯიქიამ**, მცხოვრებმა შაუმიანის ქ. № 57, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **მოქალაქე ნათელა ალექსანდრეს ასულ კანდელაკი-ჯიქიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. მარცვლეული კულტურების განყოფილების გამგე—მეცნიერებათა დოქტორი. 2. ტექნიკური კულტურების განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი. 3. საკვები ბალახების განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი. 4. ბამბის სელექციის განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი. 5. აგროქიმიის განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი. 6. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი აგროქიმიის განყოფილებაში — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, ცნობა სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ, სამეცნიერო შრომების სია, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან.

კონკურსის ვადაა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან. განცხადებები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში, გარდაბნის რაიონი, მემინდვრეობის ინსტიტუტი.

მეუღლე ვლადიმერ, შვილები თინა, მარგარიტა, ალექსანდრე, მემნონი, შალვა, რძლები ნინელ, მარგო კაკაბაძეები შვილებით, სიძე ანდრო ნიჟარაძე იუწყებიან **ლიდია ივანეს ასულ კაკაბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-V, 6 ს. ქუთაისში, ჰაკვაძის ქუჩის მეოთხე შესახვევი, 15.

მამიდაშვილები თინა და მიშა კაკაბაძეები შვილებით ინგა და ელიზბარით, ალიოშა, ლამარა და მიშა ასათიანები ოჯახებით იუწყებიან **დავით ვლადიმერის-ძე გელოვანის** გარდაცვალებას.

მეუღლე მარო, შვილები თამარ, ბუჰუ მასხულიები, დები აგრაფინა, მარიამ ოჯახებით, სიძე საშა გვალია იუწყებიან, რომ 7-V, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **მიშა ვიქტორის-ძე მასხულიას** პანაშვიდი.

მამიდები დესიკო, კლარა ყურაშვილები შვილებით იუწყებიან **ოთარ ონისიმეს-ძე ყურაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 2 ს. კალანდაძის, 3-ა.

გიორგი, ნინო, ილია, თამარ, მერი გედევანიშვილები იუწყებიან **ანა პავლეს ასულ ფალავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 7-V, 5 ს. ლენინის, 63.

მეუღლე ვასილ ჯაფარიძე, შვილები ზურაბ, მარიკა, პეტრე და გოგი ოჯახებით იუწყებიან **სოფიო სამსონის ასულ მაჭავარიანი-ჯაფარიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V, 5 ს. ზესტაფონში, მახარაძის, 22.

მეუღლე დარეჯან, შვილები ნიკოლოზ და გულსუნდა, ცოლისდა თამარ მეუღლით გიორგი დავითაშვილით იუწყებიან **ზაქარია ეგნატეს-ძე ურუშაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 2 ს. ყიფიანის, 29.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიისა და სანიტარია-ჰიგიენის ფაკულტეტების შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კლინიკა და თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს შინაგან სნეულებათა განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ს. მუჯირს მისი მამის **ანტონ მუჯირის** გარდაცვალების გამო.

თ. ავალიშვილი, მ. ბახუტაშვილი, რ. ხარაძე, თ. ციციშვილი, ლ. სვანიშვილი, ქ. მოდებაძე, ვ. ინაშვილი, მ. თარაშვილი, ვ. ბაქრაძე, ქ. ფურცელაძე, მ. სულხანიშვილი, ს. კლიმიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მ. მველაძეს მისი მეუღლის **ილია კობალაძის** გარდაცვალების გამო.

ცეკავშირის საწარმოო კომბინატის კოლექტივი იუწყება **გიორგი დავითის-ძე ჯანდიერის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

სიმონ ჯანაშიას ოჯახი იუწყება ბიძის **ანტონ მაქსიმეს-ძე მუჯირის** გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო, შვილი ლუბა, შვილიშვილი ლია, ძმა მიხეილ სულხანიშვილები იუწყებიან **ალექსი ქრისტეფორეს-ძე სულხანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 4 ს. სულხანიშვილის, 15.

ძმები მიხეილ, იასონ, ვლადიმერ, და ცაცუ, რძლები კატო, ნინუცა, ოლია, ნელი შვილებით გელენიძეები, სიძე ზაქარია ღვაბერიძე იუწყებიან **ლიდა ნიკოლოზის ასულ ლაპავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 7-V, 3 ს. დეპოს, 17.

დედა ცაცა, მეუღლე შუქურა, შვილები იზა, დოდო, ძმა შოთა, დები შურა, ცაბურა, სიძეები შალვა ქავთარაძე, ზურაბ ენაგელი იუწყებიან **დავით ვლადიმერის-ძე გელოვანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-V, 7 ს. გამოსვენება 9-V, 6 ს. ტელეგრაფის ჩიხი, 4.

45-ე ქალთა და ვაჟთა მე-17 საშუალო სკოლების დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ თ. კვალიაშვილს მისი ძმისწულის **ჟენიას** გარდაცვალების გამო.

თეატრალური ინსტიტუტის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ა. კიკნაძეს მისი სიმამრის **ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე ჩხენკელის** გარდაცვალების გამო.

ბებია ელენტი, დეიდები ცუცა, გოგონა ახვლედიანები იუწყებიან **ოთარ ონისიმეს-ძე ყურაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 7-V, 2 ს. კალანდაძის, 3-ა.

ნ. ქარციძე, ვ. უკლება, დ. კაჭახიძე, ა. ჩანტლაძე, ვ. ქაროსანიძე, ა. ურუშაძე, ლ. სანაძე, დ. წეროძე, ვ. ტაბიძე, ქ. ეგნატაშვილი, ქ. ფეტელავა, ე. ჟორდანია თანაგრძნობას უცხადებენ გ. დუმბაძეს მისი დედის **მაროს** გარდაცვალების გამო.

ქალთა მე-13 საშუალო სკოლის XI¹ კლასის ხელმძღვანელი და მოსწავლეები იუწყებიან ამავე კლასის მოსწავლის **დალი იოსების ასულ იორამაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 4 ს. ბორჯომის, 6.

ქალთა მე-13 საშუალო სკოლის VI² კლასის მოსწავლეები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კლასის მოსწავლე ნანო იორამაშვილს მისი დის **დალის** გარდაცვალების გამო.

ც. სვანიძე, ა. ლოსაბერიძე, ა. მონიავა, ვ. მებუკე, გ. ალადაშვილი, ჯ. გაბუნია, ტ. ლომიძე, ჯ. ნიჟარაძე, თ. გუგუშვილი, ვ. ლომთათიძე იუწყებიან ა. კობალაძის მამის ექიმ **ილია ალექსის-ძე კობალაძის** გარდაცვალებას.

ბ. პატარაია, ვ. მამულოვი, გ. ჩიგოგიძე, რ. აბაშიძე, ვ. დეკანოზიშვილი, ს. ბაქრაძე, კ. გაჩეჩილაძე, გ. კენკაძე, რ. ჰანტურია, დ. ბახტაძე, გ. კეჭკაჭიშვილი, ქ. ფხაკაძე, ა. ჩხაიძე თანაგრძნობას უცხადებენ ალ. ცინცაძეს მისი დედის **რებეკა ცინცაძის** გარდაცვალების გამო.

ვაჟთა I საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის დამსახურებული მასწავლებლის **ანა პავლეს ასულ ფალავას** გარდაცვალებას.

ძმა ლადიკო, რძალი თამარ, ძმისწულები ნინო, ვალენტინა, ქეთო ურუშაძეები იუწყებიან **ზაქარია ეგნატეს-ძე ურუშაძის** გარდაცვალებას.

საბჭოთა კავშირის გმირ ჯ. ყ. ბენდელიანის სახელობის თბილისის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს სკოლის უფროსს ბ. ბარამიძეს **ანტონ მაქსიმეს-ძე მუჯირის** გარდაცვალების გამო.

ვაჟთა 32-ე საშუალო სკოლის დირექცია და მასწავლებლები იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებელ **მარო დიმიტრის ასულ დუმბაძის** გარდაცვალებას.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3 08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80 83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3 80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14, უე 02094